პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 181 (18723) კვირა, 7 აგვისტო 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ალოობა — 83

მხვნელ-მთესველთა შრომის ნაყოფი

ზნაურის რაიონის ბეყმარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პურის ყანებში გაჩაღებულია მკა. საშემოდგომო თესვიანი კულტურებს აქ სამასი ჰექტარი უკავია. მხვნელ-მთესველები ყოველ ჰექტარზე 22 ცენტნერ მარცვალს ლეწავენ, გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად.

სახელმწიფოს უკვე მიეყიდა ორი ათას ცენტნერზე მეტი ხორბალი.

სურათებზე: საბჭოთა მეურნეობის საველე კალოზე; სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი კომკავშირელი ზალინა ძაგოევა არდადეგებზე მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და ალოობის დღეებში ეხმარება მხვნელ-მთესველებს.

ლ. გუსლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში განიხილეს სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშათა-გის გაძლიერების საკითხი და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებაში „სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ“ აღნიშნულია, რომ სოციალისტური შრომის დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცება იმის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ წარმატებით სრულდებოდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები, მაღლდებოდეს სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა, კიდევ უფრო მტკიცდებოდეს სოციალისტური ცხოვრების წესის საფუძვლები, მაღლდებოდეს მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა, იხვეწებოდეს დემოკრატია.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით, გარკვეულ მუშაობას ეწევიან სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირებისათვის. საბჭოთა ადამიანების დიდი უმრავლესობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად შრომობს, იჩენს წარმოებაში, ტრანსპორტზე, მომსახურების სფეროში ჯეროვანი წესრიგის უზრუნველყოფით დიდ დინჯრეულებს, კარგ ზელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. კარგ შედეგებს აღწევენ იქ, სადაც ეს მუშაობა წარმოებს მიზანმიმართულად და ყოველდღიურად, სადაც მასში ყველა მშრომელი ებმება.

თანამედროვე პირობებში შრომითი კოლექტივების, თვით მშრომელების როლი იზრდება შრომის დისციპლინის განმტკიცებაში. მიღებული სსრ კავშირის კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ თითოეული მუშაკის შრომაზე აქტიური ზეგავლენის, მოწინავეთა წახალისების, დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ შესაძლებლობებს საზავს.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, არასაწარმოო დარგებში ჯერ კიდევ დიდია სამუშაო დროის დანაკარგები, ყველგან რაციონალურად არ გამოიყენება შრომითი რესურსები, ნელა მცირდება კადრების დენადობა. ზოგიერთი მუშა, კოლმეურნე და მოსამსახურე სრული უკეთგებით არ შრომობს, არ უფრთხილდება კოლექტივის ინტერესებს, აცდენს და იგვიანებს სამუშაოზე, ლოთობს, ზშირად უსაფუძვლოდ გადადის ერთი საწარმოდან მეორეში. უქნარები, გამცდენები და ფრანეები ზშირად თავს ლაღად გრძნობენ, ხელფასისა და სხვა სიკეთეთა მიზედვით კეთილსინდისიერ მუშაკებთან ერთ რიგში არიან. ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში სუსტად გამოიყენება საზოგადოებრივი აზრის ძალა, საბჭოთა კანონები, დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებანი. ამ საქმეში ჯერ კიდევ საკმარის როლს ვერ ასრულებენ მუშათა კრებები და ამხანაგური სასამართლოები. შრომის დისციპლინის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება სამუშაოსაგან მუშა-მოსამსახურეთა მოწყვეტით.

სამინისტროები და უწყებები, სამეურნეო ხელმძღვანელები ცალკეულ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ ქმნიან ნორმალური დიდნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პირობებს. დაგეგმვაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, წარმოების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი იწვევენ მოცდენასა და იძულებითას, ზეგანაკვეთურ სამუშაოებს, საგეგმო დავალებებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობას, გავლენას ახდენს დისციპლინაზე და, საბოლოო ანგარიშით, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპზე.

არის ფაქტები, როცა სამინისტროების, უწყებების, მართვის სხვა ქვეგანაყოფების, სამეცნიერო, საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებების აპარატის მუშაკები არ იძლევიან დისციპლინის, მუშაობის ზუსტი ორგანიზაციის, სამუშაო დროის სრული გამოყენების მაგალითებს.

ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაცია შეურიგდა შრომის დისციპლინის დაბალ დონეს, ჩქმალავს უყაირათობის ფაქტებს, ყველაფერს არ ღონობს წარმოებაში წესრიგის დასამყარებლად.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ სახალხო მეურნეობაში არის დიდი გამოუყენებელი რეზერვები. საზოგადოების სამსახურში მათი ჩაყენება უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაა.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და მთავარი აზრი იყო და კვლავ არის მშრომელი ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების, პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულების საფუძველია მათი კეთილსინდისიერი შრომა, მკაცრი წესრიგი და ორგანიზებულობა.

საბჭოთა ხალხმა ფართოდ დაუჭირა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების მითითებებს იმის შესახებ, რომ გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ, გავაძლიეროთ ამ მიმართულებით მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა. მშრომელები წინადადებას იძლევიან გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა გაცდენებისათვის, სამუშაოზე დაგვიანებისა და დისციპლინის სხვა დარღვევებისათვის, მკაცრად მოვკითხოთ თანამდებობის პირთ, რომლებიც ცუდად აგვარებენ მუშაობას, არ იღვწიან შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიღებულ დადგენილებაში მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალეს თანამიზნეულად განახორციელონ მუშაობა საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის, ორგანიზებულობისა და წესრიგის ამაღლებისათვის იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარება.

ამ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს ყველა მშრომელის აღზრდა იმ მოქალაქეობრივი თვალთობის ღრმა შეგნების სულისკვეთებით, რომ შეგნებულად და კეთილსინდისიერად შრომობდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ. უნდა მივაღწიოთ, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მუშაობა არ შემოიფარგლოს ხანმოკლე კამპანიით, გულმოდგინედ ჩამოვაყალიბოთ ყოველ შრომთან კოლექტივში მაღალი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ატმოსფერო.

ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მატერიალური და მორალური წახალისება თავდადებული შრომისათვის, ამავე დროს გადაჭრით აღმოვფხვრათ შრომისა და საწარმოო დისციპლინის დამოღვევებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების ფაქტები, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ამ მიზნით საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი. მოქმედი კანონმდებლობის ნორმები. შრომის დისციპლინის დარღვევები უნდა მივიჩნიოთ სსრ კავშირის კონსტიტუციით დადგენილი კეთილსინდისიერი შრომის მოვალეობის შესრულებისათვის თავის არიდებად.

სოციალისტური შრომის დისციპლინა — ეს მარტო შრომითი შინაგანაწესის მკაცრად დაცვა კი არა, თავისი მუშაობისადმი შეგნებული შემოქმედებითი დამოკიდებულება, მისი მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, სამუშაო დროის ნაყოფიერი გამოყენებაცაა.

დადგენილებაში სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, ეძლევათ გააძლიერონ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინისა და კადრების დენადობის მდგომარეობისათვის. თუ არ განაზორციელებენ წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების, კადრების დენადობის შემცირების, სამუშაო დროის დანაკარგების უტყუარი აღრიცხვის ორგანიზაციის ღონისძიებებს, შესაბამის ხელმძღვანელებს არ მიეცეთ ჰრემიები მუშაობის ძირითადი შედეგებისა და სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისათვის, დაეკისროთ დისციპლინური და ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა პასუხისმგებლობა.

თუ ხელმძღვანელს უნარი არ შესწევს უზრუნველყოს ჯეროვანი შრომის დისციპლინა მუშაობის მინდობილ უბანზე, ეს უნდა ჩაითვალოს იმად, რომ იგი არ შეესაბამება თავის თანამდებობას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სოციალისტური შრომის დისციპლინის ჩანერგვისა და განმტკიცებისათვის მუშაობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიაჩნიათ შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება, მათთვის მინიჭებული უფლებების ეფექტიანი გამოყენება. სწორედ შრომითს კოლექტივში ყალიბდება და იწრთობა სოციალისტური საზოგადოების მშრომელის პიროვნება. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს შრომის კოლექტიური ფორმების განვითარება საწარმოო ბრიგადებში, სადაც იქმნება როგორც მთელი კოლექტივის, ისე თითოეული მშრომელის შემოქმედებითი ენერგიისა და შრომითი აქტიურობის გამოვლენის ხელშემწყობი პირობები.

შრომითი კოლექტივების, ბრიგადების, უბნების, ფერმების, საამქროების კრებების განსახილველად მუდამ უნდა შევიტანოთ შრომის დისციპლინის მდგომარეობის საკითხები და მისი განმტკიცების ღონისძიებანი, გაკიდნების შემთხვევები და სხვა დარღვევები. რათა შესაბამისი საზოგადოებრივი ზემოქმედება მოვახდინოთ დამრღვევებზე, ადმინისტრაციის წინაშე დავაყენოთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ასეთი პირების პასუხისგებაში მიცემის საკითხები.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა კომიტეტებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა ყველა პირობა უნდა შეუქმნან შრომითს კოლექტივებს, რათა მათ შრომის დისციპლინის უზრუნველყოფაში შეასრულონ ის უფლებამოსილებანი, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონით შრომითი კოლექტივების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია მუშა-მოსამსახურეთა გაუმართლებელი მოცდენა სამუშაო დროს ყოველნაირი კრებების, შეკრებებისა და სემინარების, ტურისტული შეჯიბრებების მოწყობისათვის, მხატვრულ თვითმოქმედებაში მეცადინეობისათვის, ტურისტულ მოგზაურობათა ორგანიზაციისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, სამეურნეო ხელმძღვანელები მოვალენი არიან მკაცრი წესრიგი დაამყარონ ამ საკითხებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კეთილსინდისიერად და უნაკლოდ მომუშავე შრომის ვეტერანთა მორალური წახალისების გაძლიერებისათვის საჭიროდ არის მიჩნეული დადგინდეს, რომ „შრომის ვეტერანის“ მედლით მუშა-მოსამსახურეთა დაჯილდოება ხდება არა პენსიიზე გასვლის პერიოდში, არამედ იმ შრომითი სტაჟის მიღწევისას, რომელიც საჭიროა ნამსახურობის ან სახალხო-მეურნეობის გამო პენსიის დანიშვნისათვის.

გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, სსრ კავშირის გამსახკომს, სსრ კავშირის სახტელერადიოს, სსრ კავშირის სახკინოს წინადადება მიეცათ სისტემატურად გააშუქონ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც წარმოებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, კადრების დენადობის შემცირებისათვის, წარმოებაში სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესების, შრომის ორგანი-

(დასასრული მე-2 გვ.).

ხუთწლედი: წელი მესამე

ჩამორჩენა დაძლიეს

თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის მეთაური ფაბრიკის მაჩვენებლებისაგან ლენინგორის წარმოების ქრონიკული ჩამორჩენა, რაც ქალაქის საწარმოთა მეტ წილ სოფლის ფილიალებს ახასიათებს, ლიკვიდირებულია კოლექტივის ძალებით.

— ამაში დაგვეხმარა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადულ ფორმაზე გადასვლა, განაცხადა კორესპონდენტთან საუბარში ფაბრიკის დირექტორმა ე. ტაბატაძემ. — ახლა ზებს შორის იყო ობიექტური მიზეზებიც — მუშების დაბალი კვალიფიკაცია, წარმოების სუსტი სოციალურ-საყოფაცხოვრებო ბაზა, ახლა კი ფილიალი ყველა მაჩვენებლის მიხედვით უტოლდება მეთაურ საწარმოს. მეტრიკოტაჟეები პროდუქციის 40 პროცენტს სახელმწიფო ხარისხის ნიშნით უშვებენ, ასრულებენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთვის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრ ვალდებულებას.

ამზადებენ ხილს

დასავლეთ საქართველოს მეურნეობებმა დაამთავრეს კურკოვანი ხილის კრეფა. წლეულს მეხილეებმა ხილის უხვი მოსავალი მოიწიეს. პირველი აგვისტოსათვის დამზადებულია 40 ათასი ტონა ხილი გეგმით გათვალისწინებული 32 ათასი ტონის ნაცვლად.

— მეხილეების წარმატება, — თქვა საქართველოს ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. ქებაძემ,— წარმოების მოწინავე მეთოდების ინტენსიური გამოყენების, მოსავლის აღების ზუსტი ორგანიზაციის შედეგია. ყველგან ორგანიზებულად მიმდინარეობს ხილის დამზადება.

კურკოვანი ხილის დამზადების ესტაფეტა გადაეცათ აღმოსავლეთ საქართველოს მშრომელებს. დამკვრელური ტემპით მუშაობენ მარნეულის, გარდაბნის, ქარელის, გურჯაანის რაიონების მშრომელები.

რესპუბლიკაში უკვე დამზადდა ორმოცდაათი ათას ტონამდე კურკოვანი ხილი, რაც წლიური გეგმის ნახევარზე მეტს შეადგენს. ტემპი ორჯერ უსწრებს შარმანდელს. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომსახურების სფეროში დაშვებული ჩამორჩენის დაძლევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტიული და სახელმწიფო ამოცანაა. არ კმარა შრომისათვის ფულადი ანაზღაურების სისტემის სრულყოფა, უნდა ვაწარმოოთ საჭირო რაოდენობის საქონელი, რომელზეც არის მოთხოვნილება, და უნარიანად ვივაჭროთ ამ საქონლით, მოითხოვა პლენუმმა.

პარტიის ამ საპროგრამო დებულებამ, რომელიც განმსჭვალულია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეზუთე პლენუმის მოთხოვნებმა, რომელმაც მთავარი ყურადღება მიაპყრო მომსახურების სფეროს პრობლემებს, განსაზღვრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული რესპუბლიკური თათბირის შინაარსი. თათბირზე შეაჯამეს საცალო საქონელბრუნვის მიმდინარე წლის იანვარ-ივლისის გეგმის შესრულების შედეგები.

მიღწეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის პირველ ეტაპზე. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დიდი საწარმოები სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. მთავრდება „ბაშვთა სამყაროს“ და დღესასწაულთა სახლის მშენებლობა თბილისში. გაუჯობესდა რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება. გაძლიერდა სავაჭრო ორგანიზაციების ზემოქმედება მრეწველობაზე სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მიმდინარე წლის დამდეგიდან ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დახმარებით კონტროლი ეწევა იმას, თუ როგორ ასრულებენ საცალო საქონელბრუნვის გეგმას რესპუბლიკის ყველა საწარმო და ორგანიზაცია, ყოველი რეგიონი, რაც საშუალებას იძლევა დაკონკრეტდეს მუშაობა არა მარტო სამინისტროებთან და უწყებებთან, არამედ უშუალოდ პარტიულ კომიტეტებთან და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან.

ხორციელდება აგრეთვე მომსახურების სფეროს ზუსტი და ხარისხოვანი მუშაობის უზრუნველყოფისათვის გამიზნული სხვა კონკრეტული ღონისძიებანი. მაგრამ ეს ღონისძიებანი აშკარად არ არის საკმარისი, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა. მათ სავსებით საფუძვლიანი წუხილი გამოთქვეს იმის გამო, რომ ვაჭრობამ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან განსხვავებით, ვერ შეასრულა 1982 წლის მისთვის დადგენილი საგეგმო დავალება, ვერ უზრუნველყოფს გეგმის რეალიზაციას წელსაც. მიმდინარე წლის შვიდ თვეში საცალო საქონელბრუნვის გეგმა ახლოლად 96 პროცენტით შესრულდა.

აი, რატომ განიხილეს ასე მწვავედ, ასე პრინციპულად მომსახურების სფეროში საქმის ვითარება, საქონელბრუნვის პრობლემები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე, აგრეთვე მის შემდეგ გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

თათბირის მონაწილეებმა, რომლებმაც საგულდაგულოდ გააანალიზეს საქონელბრუნვის გეგმის ქრონიკული შეუსრულებლობის მიზეზები, გამოიტანეს დასკვნა, რომ მათ მნიშვნელოვანწილად იწვევს ვაჭრობის ცუდი ორგანიზაცია.

უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთგზის მიაპყრო ვაჭრობის სამინისტროსა და ცენტრალურ კავშირის გამგეობის ხელმძღვანელთა ყურადღება იმას, რომ საჭიროა ვაჭრობის ქსელის უზრუნველყოფა საკმარისი ასორტიმენტის საქონლით, მაგრამ მდგომარეობა არ უმჯობესდება. კომპლექსურმა შემოწმებამ, რომელმაც მოიცვა რესპუბლიკის ნახევარზე მეტი რაიონები, ცხადყო რომ მთელ რიგ სოფლის მაღაზიებში არ არის ყოველდღიური მოხმარების ისეთი საქონელი, როგორიცაა მარილი, პური, ასანთი, მინერალური წყალი და სხვ. ეს, აღინიშნა თათბირზე, ვაჭრობის სუსტი ორგანიზაციის, ზემდგომი სავაჭრო ორგანიზაციების, ადგილობრივი პარტიული და სავაჭრო ორგანოების მხრივ კონკრეტული დახმარებისა და მკაცრი კონტროლის უქონლობის შედეგია. ხოლო როცა ასეთი დახმარება, ასეთი კონტროლი ხორციელდება, უკუგებაც საგრძნობია. ამ მიმართულებით კარგად იმუშავეს რუსთავში, სადაც შექმნილია არსებული საქონლის ოპერატიული მანეგირირების სადისპეტჩერო სამსახური.

რესპუბლიკის ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში დღემდე არ აღმოფხვრილა ისეთი სამარცხვინო მოვლენები, როგორიცაა გაზრდილი მოთხოვნის საქონლის გადამალვა, მყიდველთა მოტყუება. მარტო წლის პირველ ნახევარში ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მიერ შემოწმებული საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 1909 ობიექტიდან 1642 ობიექტში გამოაშკარავდა დარღვევები. თითქმის 200 ობიექტზე აღინიშნა დეფიციტური საქონლის გადამალვა. მაგალითად, როგორ შეიძლება საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე ან საკუთრორტო ზონაში ვაჭრობის ზუსტ ორგანიზაციაზე სერიოზული ლაპარაკი, როცა ოჩამჩირის რაიონის კურორტვაჭრობის მაღაზიაში აღმოჩენილია 15 ათასი მანეთის გადამალული იმპორტული საქონელი. მოიყვანეს ასეთი მაგალითიც: მიმდინარე წლის 30 ივლისს გულრიფშში გამართულ რესპუბლიკურ ბაზრობაზე ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიას სამეურნეო საქონლის მაღაზიამ გასაყიდად გამოიტანა ორი სახეობის ქსოვილი, რომლებზეც აღნიშნული ფასი ერთიერად და მეტად აღემატებოდა მათ ღირებულებას პრეისკურანტის მიხედვით.

მომსახურების სფეროში ფესვგადგმული ნეგატიური მოვლენები რომ გაანალიზეს, თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს: მათი აღმოფხვრა ჯერის უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ნაკლებეფექტურად მუშაობენ საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურები, სერიოზული ხარვეზებია კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მეეთითათ, რომ საჭიროა თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანონ დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისიების საქმიანობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მათ უნდა მიაღწიონ მეტ შემტეეითობას, მეტ სისტემურობას ამ კომისიების მუშაობაში, უფრო გაბედულად გამოავლინონ ნაკლოვანებები და დარღვევები, თანამიმდევრულად გახახორციელონ მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

ახალი ამბები ორბიტიდან

ფრუნზის მართვის ცენტრი, 5 აგვისტო. (საკდესი). ორმოცი დღეა კოსმოსში მუშაობენ ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი.

გასული კვირის მეცნიერული კვლევის პროგრამა შეიცავდა ტექნოლოგიურ და ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს, დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენების შესწავლასა და დამუხტული ნაწილების ნაკადების რეგისტრაციას, ტექნიკურ ექსპერიმენტებსა და ეკიპაჟის სამეცნიერო საკონტროლო გამოკვლევას.

ელექტროსათბობ ღუმელ „კრისტალში“ განხორციელდა ორი დნობა. ამ ექსპერიმენტების მიზანია ნახევარგამტარი მასალის სელენიდის კადმიუმის კრისტალების მიღება.

აპარატურა „ელექტროტოპოგრაფის“ მეოხებით კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამის ფარგლებში ეკიპაჟმა შეასრულა თხელფენიან საფარზე ღია კოსმოსური სივრცის ფაქტორების ზემოქმედების ექსპერიმენტების პირველი სერია, გამოკვლეული ნიმუშები ექსპონირებულია რაბის კამერაში.

პილოტირებული ფრენის პრაქტიკაში პირველად გამოყენებული ელექტროტოპოგრაფიის მეთოდის მეოხებით შესაძლებელი იქნება უშუალოდ სადგურში შეფასდეს სხვადასხვა კონსტრუქციული მასალის მდგომარეობა და განხორციელდეს დედამიწისირგვლივ ორბიტაზე დიდი ხნის მანძილზე მყოფი კოსმოსური აპარატების ზედაპირის პერიოდული კონტროლი.

მეცნიერგადარტიანი გამა-ტელესკოპის „ელენას“ გამოყენებით შესრულდა გამა-გამოსხივების გაზომვის რამდენიმე ციკლი ბრაზილიის მაგნიტური ანომალიის რაიონებზე ორბიტული კომპლექსის ფრენის დროს.

ბიოლოგიურ გამოკვლევათა პროგრამის მიხედვით გრძელდება ექსპერიმენტები „ოაზისისა“, და „შუქბლოკის“ დანადგარებზე.

დღეისათვის დაგეგმილია ტექნოლოგიური ექსპერიმენტები „კრისტალი“ და „ელექტროტოპოგრაფი“, ვიზუალური დაკვირვება გარემოს შესწავლის პროგრამის მიხედვით, მუშაობა გამა-ტელესკოპ „ელენაზე“.

ორბიტიდან მიღებული მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, ფრენის პროგრამა წარმატებით სრულდება

ორივე კოსმონავტი თავს კარგად გრძნობს.

მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში

ცალკე ბროშურად გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ვ. ზიმიანინის მოხსენება „რევოლუციური მოქმედების პარტია“, რომელიც მან გააკეთა 1983 წლის 29 იანვარს რსდმპ I ყრილობის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსკოვში გამართულ საზეიმო სხდომაზე.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

(დასასრული)

ზაციის სრულყოფისა და წესრიგის დამყარებისათვის, უფრო ფართოდ გაუწიონ პროპაგანდა შრომითი კოლექტივების დადებითს გამოცდილებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შრომითი კოლექტივები ყოველ ღონეს იხმარენ სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და ამ საფუძველზე მიაღწევენ ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას.

* * *

გაითვალისწინეს რა მშრომელთა წინადადებანი, შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების მიზნით **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება „შრომის დისციპლინის განმტკიცების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“.**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამშობლოსაგებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ გაანმარტოსონ გეგმების შეწონასწორება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, უზრუნველყონ შრომითი კოლექტივების შეუფერხებელი და დიდნაყოფიერი შრომის, მათი ინიციატივისა და საგეგმო დავალებების და ვალდებულებების შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების სხვა ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობების შექმნა.

აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება მინისტრების, უწყებათა და მართვის სხვა ორგანოთა ხელმძღვანელების როლი და პასუხისმგებლობა აპარატის საქმიანობაში შეთანხმებულობისა და სიზუსტისათვის, გეგრგილინობისა და ყველა მუშაკის მიერ დაკისრებული მოვალეობის განუხრელი შესრულებისათვის, დარგების მუშაობის დონის ყოველმხრივი ამაღლებისათვის, საქვეყნეო გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში საგეგმო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობისათვის.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კრიტიკულად უნდა განიხილონ შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობა და განახორციელონ მისი განმტკიცების კონკრეტული ღონისძიებანი, უფრო აქტიურად დაერგონ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების მოწინავე ფორმები, ბრიგადული სამეურნეო ანგარიში, ანაზღაურება საბოლოო შედეგების მიხედვით და შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებით.

მკაცრად იხელმძღვანელონ თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპით, არ დაუშვან მატერიალური წახალისების ოდენობის გაუმართლებელი გადაჭარბება სხვა საწარმოთა მუშაკების გადაბირების მიზნით. ფართოდ გამოიყენონ ხელფასით ანგარიშსწორების უადგილო სისტემა შრომითი კოლექტივების აზრის გათვალისწინებით იქ, სადაც ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია.

გაძლიერონ კონტროლი მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის შეუნარჩუნებლად ხანმოკლე შვებულების მიცემისადმი. დადგინონ, რომ საჭირო შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით ეს შვებულებები შრომელმა შეიძლება აანაზღაუროს შემდგომ პერიოდში, ამასთან გაითვალისწინონ წარმოების პირობები და შესაძლებლობანი.

ნიადაგ გაუმჯობესონ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა, ყოველმხრივ შეამცირონ ხელის, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომა.

უფრო ფართოდ გაავრცელონ უშუალოდ წარმოებაში მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის პრაქტიკა, შექმნან კომპლექსური მიმღები პუნქტები, შეკეთების მაგიდები, სპეციალური საქონმო კაბინეტები და გასწორონ სხვა სახეობის მომსახურება სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყროს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის განვითარებას, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან უფრო ფართოდ გამოიყენონ ის პრაქტიკა, რომ წახალისების ფონდის ხარჯზე დამატებითი შეღავათები და უპირატესობანი დაუწესონ წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც დიდხანს კეთილსინდისიერად მუშაობენ საწარმოებსა და ორგანიზაციებში. უფრო სრულად გათვალისწინონ მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების შრომის შედეგები შვებულებების დროის განსაზღვრისას, ბინების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების განაწილებისას.

იმ მუშა-მოსამსახურეთა წახალისების მიზნით, რომლებიც კეთილსინდისიერად მუშაობენ და არ აღვილვენ შრომის დისციპლინას, მიღებულია გადაწყვეტილება, დადგინდეს, რომ მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის დამატებითი შვებულების მეორე და მესამე დღე ამ კატეგორიის მუშაკებს ეძლეოდეთ არა ყოველი ორი წლის შემდეგ, როგორც ეს გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით, არამედ მუშაობის ყოველი წლისათვის.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაევალათ პარტიულ ორგანოებთან ერთად გაზარდონ შრომის ადგილობრივი ორგანოებისა და მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროების როლი შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, მოქალაქეთა უსწრაფესი შრომითი მოწყობის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების საქმეში.

დადგენილია, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების შრომის განყოფილებებთან არსებული მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროები საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით ასრულებენ შუამდგომლობითს ფუნქციებს მოსახლეობის შრომითი მოწყობისათვის, ამასთან ხელს უწყობენ მოქალაქეთა მიერ შრომის გარანტირებული უფლების, იმ უფლების რეალიზაციას, რომ აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადებისა და განათლების შესაბამისად.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ მუშა-მოსამსახურეებს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ხდებოდეს, როგორც წესი, მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროების მეშვეობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ საჭიროდ ცხენ გამცდენებისა და შრომის დისციპლინის სხვა ბოროტი დამრღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით დაადგინონ, რომ:

მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც, სამუშაო გააცდინეს არასაპატიო მიზეზით, შესაბამის წელს მორიგი შვებულება შეუმცირდეთ გაცდენილი დღეების რიცხვის მიხედვით, ამასთან შვებულება არ უნდა იყოს ორ სამუშაო კვირაზე (12 სამუშაო დღეზე) ნაკლები;

მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც სამ საათზე მეტ ხანს არ იყვნენ სამუშაოზე სამუშაო დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით, ეფარდებათ პასუხისმგებლობის ისეთივე ღონისძიებანი, როგორიც დადგენილია გაცდენისათვის.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას, არასაპატიო მიზეზით აცდენენ სამუშაოს ან ნასვამი ცხადდებიან სამუშაოზე, შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა ნაკლებანაზღაურებიან სამუშაოზე სამ თვემდე ვადით ან სხვა დაბალ თანამდებობაზე იგივე ვადით. ამ პერიოდში საკუთარი სურვილით სამუშაოდან დათხოვნა არ უნდა წარმოებდეს, ხოლო იმ სამუშაოს შესრულების დრო, რომელზეც მუშა ან მოსამსახურე გადაყვანილია შრომის დისციპლინის დარღვევის გამო, დათხოვნის შესახებ გაფრთხილების ვადაში არ ითვლება;

მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვეს შრომის დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის, არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან სამუშაოზე ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადებისათვის, მუშაობის ახალ ადგილას ექვსი თვის მანძილზე პრემია ნახევარი ოდენობით ეძლევათ. თუ პირველ სამ თვეში მუშაკი კეთილსინდისიერად მოეკიდება თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებას, პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით და კოლექტივის აზრის გათვალისწინებით ადმინისტრაციას შეუძლია ადგენწყვეტოს შემდგომში პრემიის სრული ოდენობით მიცემის საკითხი.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული გაძლიერდეს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც მათი ბრალით მიადგა საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის წუნიანი პროდუქციის გამოშვებისათვის. ასეთი ზიანის ანაზღაურება პირდაპირი ნამდვილი ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს მუშაკის ერთი თვის საშუალო ხელფასის მესამედისა, უნდა წარმოებდეს ადმინისტრაციის განკარგულებით მისი ხელფასიდან დაქვითვის გზით. თუ მუშაკი არ ეთანხმება დაქვითვას ან მის ოდენობას, შრომითი დავა მისი განცხადებით განიხილება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ შრომის დისციპლინის უხეშ დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული სამუშაოზე ნასვამი გამოცხადება ან სამუშაო ადგილას სპირტიანი სასმელების სმა. ამ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში გაზრდილია იმ მუშა-მოსამსახურეთა დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობა, რომლებიც სამუშაოზე ნასვამი ცხადდებიან. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია დადგინდეს, რომ:

ადმინისტრაციის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების გაუქმების დამოუკიდებელი საფუძველია მუშა-მოსამსახურის სამუშაოზე ნასვამი გამოცხადება;

მუშა-მოსამსახურეებს მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათი მიზეზით საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის, დაწესებულებისათვის მიყენებული ზიანის სრული მოცულობით, როცა ზიანი მიყენებულია ნასვამი მუშაკის მიერ. ზღვევინება წარმოებს სასამართლო ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესით.

მიზანშეწონილად მიჩნეულია აგრეთვე დადგინდეს, რომ არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილით სამუშაოდან დათხოვნისას:

მუშა-მოსამსახურეებს უფლება აქვთ გააუქმონ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება, ამასთან გაფრთხილონ ამის შესახებ ადმინისტრაცია წერილობით ორი თვით ადრე.

მუშაობის უწყვეტი სტაჟი [illegible] რჩებოდეთ, თუ [illegible] გამოშვება არ [illegible] კვირას.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაევალათ განაზორციელონ იმ დოკუმენტების გაფორმების ვადების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნასთან და სამუშაოზე მიღებასთან.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უმაღლესი, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა განაწილებისა და გამოყენების არსებულ წესს არსებითი ნაკლოვანებები აქვს. ეს კადრები ყოველთვის მათი კვალიფიკაციის შესაბამისად როდი გამოიყენება, მათ ხშირად ადგილებზე არ უქმნიან ჯეროვან საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან ერთად დაევალათ ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ შესაბამისი წინადადებანი.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს რეკომენდაცია მიეცა განიხილოს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებასა და კოლმეურნეობის წევრების შრომის მარეგულირებელ სხვა აქტებში ამ დადგენილების შესაბამისი დამატებებისა და ცვლილებების შეტანის საკითხი.

7 აგვისტო რკინიგზელის საკავშირო დღეა

ქარგი გუნება-განწყობილებით ხვდება თავის პროფესიულ დღესასწაულს თბილისის ხალოკომოტივო-სამგზავრო დეპოს კოლექტივი. ნახევარი წლის მანძილზე აქ 145 ათას კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია და 110 ტონა ხაწვავი დაზოგეს.

სურათზე (მარცხნიდან): მოწინავე მემანქანეები შ. სამხარაძე, ბ. მიქაძე, გ. იაკობიძე, თ. გუჯაბიძე და მემანქანე-ინსტრუქტორი ი. ხუფუა.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს ჩვენი ქვეყნის რკინიგზელები დამაჯერებელი წარმატებით ხვდებიან. ნახევარი წლის გადამეტებით მომხმარებელს 23,7 მილიონი ტონა ტვირთი გიგზავნეს, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ტვირთის ტრანსპორტირების ოცულობა 62 მილიონი ტონით გაიზარდა, განმტკიცდა სახელმწიფო, შრომისა და საწარმო დისციპლინა. მიღწეული განაპირობა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესრულებისათვის შეუნელებელმა ბრძოლამ. ახლა რკინიგზელები შეუდგნენ იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც ჩვენს სახალხო მეურნეობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დაუსახა.

სახეამოვნია, რომ ქვეყნის რკინიგზის მაგისტრალების კოლექტივის წარმატებაში საგრძნობი წვლილი შეიტანა ამერიკაკავკასიისა და, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის რკინიგზელებმა. ამ დღესთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა ამერიკაკავკასიის რკინიგზის უფროსს ლ. ვარდოსანიძეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

— რა არის დამახასიათებელი სსრ კავშირის ფოლადის მაგისტრალებისათვის, რა განასხვავებს მას სხვა ქვეყნების რკინიგზებისაგან?

— ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი ქვეყნის რკინიგზის ქსელის საერთო სიგრძე 143 ათასი კილომეტრია, რაც დედამიწის ხუთგზის დაგებული რკინიგზის თერთმეტი პროცენტია, მაგრამ მთავარი ეს როდია. აღსანიშნავი და დამახასიათებელი ის გახლავთ, რომ ჩვენი ქვეყნის რკინიგზის წილად მოდის მსოფლიო ტვირთბრუნვის 53 პროცენტი და მგზავრთა გადაყვანის თითქმის მეოთხედი. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვემსახურებით გიგანტურ საზიდ კონვეიერს, ვშრომობთ სახალხო მეურნეობის იმ დარგში, რომლის გამართულ მუშაობაზეც ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

— გასულ ზამთარში, ამერიკაკავკასიის რკინიგზა რთულ საექსპლოატაციო პირობებში მოქმედებდა და ამ გარემოებამ, ალბათ, გააუარესა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები?

— დიახ, განვლილი პერიოდი მართლაც არ იყო იოლი, მაგრამ ჩვენმა რკინიგზელებმა სიძნელეებს თავდადებული შრომა დაუპირისპირეს და არცთუ ცოტა რამ გააკეთეს. ამაზე, უპირველესად, მეტყველებს ის ფაქტი, რომ ექვს თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 30 ათასი ტონა ტვირთით მეტი გადაიზიდა. ვადამდე მივაწოდეთ, მომხმარებელს ნავთობპროდუქტები, მანგანუმის შალი, ქიმიკატები, მინერალური სასუქები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რაციონალურად ვიყენებთ ვაგონების ტევადობას, რითაც დამატებით 1325 ტონა საქონელი გავგზავნეთ ზუსტი მისამართით. რა თქმა უნდა, ამ მიღწევებში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს მემანქანე, რკინიგზის მესაჭე. მათ რომ გეგმის გადამეტებით 1604 ტონა ტვირთი არ გადაეტანათ, ჩვენი მაჩვენებლები უფრო მოკრძალებული იქნებოდა.

მართლაც, ვამაყობთ, რომ ჩვენს რიგებს სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. გუბაზი, სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ელიოშვილი, თბილისის სატვირთო სადგურის მატარებლების შემდგენელი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ფოცხვერაშვილი, ერევნის რკინიგზის განყოფილების მატარებლების დისპეტჩერი კ. მინასიანი, ერევნის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. პოლოსიანი, თბილისის დამხარისხებელი დეპოს მემანქანე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. კაკაბაძე ამშვენებენ.

გადაჭარბებულია გეგმები მგზავრბრუნვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ტვირთბიდვის თვითღირებულების შემცირებისა და სხვა მონაცემების მიხედვით. ღირსეულად შეხვდნენ დღესასწაულს თბილისის სამგზავრო-სალოკომოტივო დეპოს, ხაშურის სავაგონო დეპოს, სოხუმის სალიანდაგო დისტანციის, თბილისის დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზებული დისტანციის კოლექტივები.

— რა მიგაჩნიათ თქვენი დარგის წინსვლის მთავარ საყრდენად?

დისციპლინა, რა თქმა უნდა, დისციპლინის განმტკიცება. „რკინიგზას — რკინის დისციპლინა“ — აი ჩვენი მუშაკების მოქმედების დევიზი. დისციპლინას რკინიგზის ტრანსპორტზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მთელ ძალებს ვაბრძოლ იმას, რომ თითოეული რკინიგზელი ღრმად გრძნობდეს საკუთარ მოქალაქეობრივ ღირსებას, ვალს ხალხის, სამშობლოს წინაშე. მაღალი საწარმოო დისციპლინის უპირველესი მაჩვენებელია მოძრაობის გრაფიკის ზუსტი დაცვა. იქ, სადაც მატარებლების მოძრაობის განრიგს არ იცავენ, რაიმე მიღწევებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ამიერკავკასიის რკინიგზა საკურორტო მიმართულებისაა, რაც ყოველ დროსა და განსაკუთრებით ხაფხულობით აქ უამრავი დამსვენებელი ჩამოდის. ეს კი მომსახურების დისციპლინის განსაკუთრებულ განმტკიცებას მოითხოვს. ბოლო ხანს ამ მხრივ ცოტა როდი გაკეთდა, მაგრამ იგი რომ უმაღლეს დონეზე ავიყვანოთ ბევრი რამ გვმართებს. მგზავრთა მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესების მიზნით გზათა სამინისტროში შევიტანეთ წინადადება ნება დაგვრთონ ეკსპერიმენტის წესით სამგზავრო სამსახურის ნაცვლად დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე შევქმნათ მგზავრთა გადაყვანის საგზაო გაერთიანება და დავუქვემდებაროთ მას მგზავრთა მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ქვეგანაყოფი.

ეს წინადადება სამინისტრომ გაანიხილა და ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა. ვიმედოვნებთ, რომ მართვის სტრუქტურის შეცვლა გააძლიერებს საწარმოებს, განაყოფილებისა და თვით გაერთიანების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას, აამაღლებს მომსახურების კულტურას.

მტკიცე დისციპლინის შემადგენელი ნაწილი, ცხადია, უწყნო მუშაობა გახლავთ. ამ მხრივ შესამჩნევი ძვრებია, მაგისტრალის 404 ქვეგანაყოფიდან განვლილ პერიოდში 369-მ უწყნოდ იმუშავა. თუმცა, ეს ჩვენ სრულიადაც არ გვაკმაყოფილებს. ხორციელდება მრავალი კონკრეტული ღონისძიება მოძძაობის უსაფრთხოებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად.

— რა კეთდება რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, რკინიგზის განვითარებისათვის?

სამწუხაროდ, უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ამ მიმართულებით მიზანდასახული მუშაობა არ მიმდინარეობდა. ამიტომაც სირთულეებს ვაწყდებით, ბევრი წამყვანი სადგური ვერ ერევა ტვირთის დიდ ნაკადის გატარებას, ჩამორჩა ლოკომოტივებისა და ვაგონების სარემონტო ბაზა და სხვა. ახლა მდგომარეობა სწორდება: მარტო ბოლო სამ წელიწადში დაიგო 44 კილომეტრი სიგრძის მეორე ლიანდაგი და 20,6 კილომეტრი აქედან რკინიგზელებმა საკუთარი ძალებითა და დაზოგილი მასალებით გაიყვანეს. შესაბამისად ვითარდება სადგურები და კვანძები, განსაკუთრებით სამტრედიის კვანძი, სადაც მძლავრი დამხარისხებელი სადგური შენდება. რეკონსტრუირებულია ფოთის, გორისა და სხვა დასახლებული პუნქტების სადგურები, რეკონსტრუქციის პროცესშია ყველა სალოკომოტივო დეპო, ხოლო ხაშურში ახალი დეპო შენდება, სულ უფრო ნათლად იკვეთება თბილისის ახალი, თანამედროვე სამგზავრო ვაგზლის კონტურები. ყველაფერს, რაც დღეს ჩვენი რკინიგზის განვითარებისათვის კეთდება, საგაზეთო წერილში ვერ ჩამოთვლი, მაგრამ ერთი კი უთუოდ უნდა აღინიშნოს: კაპიტალური მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა ჩვენს გზაზე 108 პროცენტით შესრულდა.

— რკინიგზის ეკონომიკური განვითარების პროგრამა ხომ არ ჩამორჩება ხოციალურს?

თუ ეს ორი საკითხი ერთმანეთს მოვწყვიტეთ, სასურველ შედეგებს ვერ მივაღწევთ. ორივე პროგრამას ერთნაირი თანმიმდევრობით ვასრულებთ. რკინიგზელებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრები პირობების შექმნა გზის ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრშია. შარშან ჩვენს რკინიგზაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 24640 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. აგრეთვე შენდება 22 ათასი კვადრატული მეტრი, რაც ნიშნავს, რომ წლის დამლევისათვის ახალმოსახლეობას კიდევ 405 რკინიგზელის ოჯახი იზეიმებს. რკინიგზელთა საშუალო ხელფასმა დღეისათვის 179 მანეთი შეადგინა. ძალიან ბევრი რამ კეთდება სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ახლა რკინიგზელთა განკარგულებაშია 17 საავადმყოფო, 15 პოლიკლინიკა, 17 ამბულატორია. რკინიგზელებს ემსახურება 6300 მედიცინის მუშაკი, მათ შორის — 1427 ექიმი. რკინიგზის 30 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 15 ათასი ბავშვი სწავლობს, ხოლო 63 საბავშვო ბაღში 8 ათასი ყმაწვილია. გზის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში ამ ზაფხულს 7 ათასი ბავშვი ისვენებს.

დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. მართალია, კადრების მომზადებას ემსახურება ტექნიკური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. კადრების საკითხი, ალბათ, ცალკე თემაა.

მალე ქართველი და რუსი ხალხები, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი აღნიშნავს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. ამ მოვლენასთან დაკავშირებით რკინიგზელები კარგა ხანია ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ბევრი მათგანი საკმაოდ წარმატებითაც. ნება მიბოძეთ, აღვუთქვა ჩვენს ხალხს, რომ რკინიგზელები ყველაფერს იღონებენ ნაკისრი ვალდებულებათა რეალიზაციისათვის, პარტიის მიზანდასახულობათა უთუო შესრულებისათვის.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მაგისტრალის რკინიგზელები წარმატებით წყვეტენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების მიერ დასახულ ამოცანებს: მიაღწიონ მგზავრთა გადაყვანასა და ტვირთბიდვაზე სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრულ და დროულ დაკმაყოფილებას.

ეს ითქვა მაგისტრალის მშრომელთა კრებაზე, რომელიც რკინიგზელის დღეს მიეძღვნა. კრება გაიმართა 5 აგვისტოს თბილისის რკინიგზელის სახლში.

კრება გახსნა მაგისტრალის რკინიგზის მუშათა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. გობიანიძემ. მოხსენება გააკეთა რკინიგზის უფროსმა ლ. გ. ვარდოსანიძემ.

კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქორთველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი.

(საქინფორმი).

ᲮᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲣᲛᲐᲠᲗᲝᲗ

ᲞᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔᲑᲐ სიცხეა. ცხელი ქარი ქრის. გლდანის მასივის მესამე მიკრორაიონში 173-ე ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მშენებლობას ვათვალიერებთ. იგი 2500 მოსწავლისათვის არის გათვალისწინებული და განტვირთავს 39-ე და 79-ე საშუალო სკოლებს, რომლებიც რამდენიმე ცვლად მუშაობს.

ამ სკოლას მშენებლობის სამინისტროს მე-13 ტრესტის მე-8 სამშენებლო სამმართველო აშენებს (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ი. ზურელიდი, სამუშაოთა მწარმოებელი ვ. მელიქიძე). სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ინჟინერი ვ. მელიქიძე 16 წლის მანძილზე შეძენილი გამოცდილებით წარმატებით უძღვება საქმეს. სკოლის მშენებლობა ახლა იმ დონეზეა, რომ გლდანის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების, განყოფილების გამგეს ქ. ხელამვილს მტკიცედ სჯერა, მშენებლობა 15 აგვისტისათვის მოლიანად დამთავრდება. ამის პირობას ვ. მელიქიძეც იძლევა.

— ამ ექსპერიმენტული სკოლის მშენებლობას ტექნოლოგიურად 18 თვე სჭირდება. ჩვენ კი შარშან მაისიდან შევუდექით მუშაობას. დღეში 60-70 კაცი სამცვლად მუშაობს. ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ მომპირკეთებლები, დურგლები, მღებავები, ნალესავები, ელექტრომემდუღებლები—მალვა მჭედლიძე, მიხეილ მინიკი, სერგო აბრამიანი, მურაზ ბალოიანი. ყველას ვერ ჩამოთვლი...

— რა გიშლით ხელს მუშაობაში? — ჰკითხა ვ. მელიქიძეს რაისაბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების ინჟინერმა თ. მარგველაშვილმა.

— რამაც მშენებლობის დაწყება შეაფერხა, ახლაც იგივე მიზეზით ვფერხდებით. მშენებლობა 1981 წლის დეკემბერში დავიწყეთ, მაგრამ სამშენებლო ტერიტორია სანახევროდაც არ იყო თავისუფალი. ამან სამშენებლო სამუშაოები ოთხი თვით დააგვიანა. ეს საქმე ახლაც მოსაგვარებელია. სახელდობრ, ის ტერიტორია, სადაც სპორტული მოედანი უნდა მოეწყოს, კვლავ დაკავებულია. იქ დგას 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის მობინადრენი დღემდე ვერსად გადაუყვანია ქალაქის საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს. ეს ტერიტორია რომ გაათავისუფლონ, ჩვენ უთუოდ მოვასწრებთ სპორტული მოედნების გამართვასაც, რაც ესოდენ აუცილებელია სკოლისათვის.

— სამშენებლო ტერიტორიის განთავისუფლება გადაუდებელია, — ჩაერია საუბარში პარტიის გლდანის რაიკომის ლექტორ-კონსულტანტი ჯ. ჯიქიძე, — ეს საკითხი არაერთხელ იდგა სხვადასხვა ინსტანციაში, მაგრამ დღემდე ვერ მოგვარდა. ქალაქის საბჭოს აღმასკომმა უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა.

გლდანის მასივიდან მუხიანის დასახლებისკენ გავეშურეთ, პირველი ვინც 174-ე საშუალო სკოლის მშენებლობაზე შეგეგებოდა, ოსტატი გივი გოგონაშვილი იყო.

— ამ სკოლას მეცამეტე ტრესტის მეშვიდე სამშენებლო სამმართველო აგებს (უფროსი ი. დედერიანი, სამუშაოთა მწარმოებელი ე. კობახიძე). როგორც ხედავთ, შენობა ძირითადად მომთავრებულია. აქ 1200 მოსწავლე ისწავლის პირველი სექტემბრიდან. გლდანის რაიონში ჯერჯერობით მხოლოდ ამ სკოლას იქნება საცურაო აუზი. ბევრი გვყავს კეთილსინდისიერი მშენებელი. მათ შორის არიან ილია ხარაბაძე, ბაირამ გულიევი, ზორბეგ თედეევი. მათ ნახელავს წუნი არ დაედება. ახლა აქ შიმდინარეობს შემჩნეული ხარვეზების აღმოფხვრის სამუშაოები.

— ასეთ დიდ მშენებლობას, ალბათ, თავისი სატკივარი ექნება?

— აქვს და მერე როგორი, — გვიპასუხა მან. — სკოლის სასადილოს დანადგარების დამონტაჟების დაწყებას აფერხებს ქალაქის სათანადო სამსახურიდან ელექტროენერგიის ჩაუთოველობა. არ არის ჩაბარებული ქვესადგური. სინათლე კი ერთ კვირაში მაინც უნდა ჩაირთოს, რომ საქმე ადგილიდან დავძრათ. წყლის უქონლობის გამო ჯერჯერობით ვერ ხერხდება სანიტარიულ-ტექნიკური გაყვანილობათა და სხვა კომუნალური ქსელების საიმედოობის შემოწმება. მე ვიცი, რომ ამ საქმეში სხვებთან ერთად დახმარება უნდა გაგიწიოს „თელასმ“ ხელმძღვანელობამაც.

სკოლის მშენებლებისადმი ამგვარი დახმარება აღარ უნდა

ნაგვისტო

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკლასო იუფყეგა

ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲥᲐᲛᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐ

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ ახლახან დასტამბული წიგნი — „ომი ბრძოლისა და თანადგომისა“, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გურამ მეტრეველი.

წიგნი ეხება იმერეთის სამეფოს ისტორიას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, სოლომონ პირველის მეფობას. ეს პერიოდი ღირსშესანიშნავი ხანა იყო დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში. მეტად რთულ საშინაო და საგარეო პირობებში მყოფი ქვეყანა სოლომონ პირველის ენერგიულმა მოღვაწეობამ, მის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ფეზზე წამოაყენა, გააძლიერა და დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა შეაძლებინა. სოლომონ მეფის პოლიტიკაში მთავარი ადგილი იკავა რუსეთთან დაახლოებისა და მფარველობა-მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების საკითხს. ავტორის ყურადღებაც ძირითადად ამაზეა გამახვილებული.

წიგნში განხილული ყველა სხვა საკითხი — იმერეთის სამეურნეო და სოციალური მდგომარეობა (თავი II), ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა (თავი III), ბრძოლა თავადური რეაქციის წინააღმდეგ (თავი IV) და ურთიერთობა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან (თავი V) ლოგიკურად და ისტორიულად ასაბუთებს და ამზადებს რუსეთთან დაკავშირების აუცილებლობას, ადასტურებს მის პროგრესულ მნიშვნელობას და დადებითს შედეგებს. რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში მონაწილეობამ სოლომონს შეაძლებინა რუსთა ჯარის დახმარებით იმერეთის ციხეებიდან გაედევნა ოსმალო მეციხოვნეები, კუჩუკ კაინარჯის (1774 წ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით ოსმალეთს დასავლეთ საქართველოში პარპაშის უფლებები შეეზღუდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით იმერეთის საკითხიც განიხილებოდა. სოლომონ მეფე ითხოვდა მასთანაც გაფორმებულიყო მფარველობა-მოკავშირეობის ტრაქტატი. გ. მეტრეველი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ გეორგიევსკის ხელშეკრულების თავდაპირველ ვარიანტში გათვალისწინებული იყო იმერეთის სამეფოც. პროექტის არშიის მარცხენა მხარეზე ეწერა „имеретинское“, ხოლო ერეკლე II-ის გვერდით „Соломон“.

ოსმალეთთან ურთიერთობის გართულებას ეროდებოდა რუსეთის მთავრობა და ამიტომ „ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ტრაქტატის გასაფორმებლად“.

სოლომონ მეფის ნაადრევმა სიკვდილმა მეფის მისწრაფება განუხორციელებელი დატოვა.

წიგნის ავტორის თვალსაწიერი არ იფარგლება იმერეთის სამეფოს თავგადასავლით. იმერეთის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხებზე მსჯელობისას იგი ეხება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულთა მდგომარეობას, მათი ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფაქტებს. მკითხველი აქ ნახავს საინტერესო ცნობებს ოდიშის, გურიის, აფხაზეთის სამთავროების შესახებ, ქართლ-კახეთის მდგომარეობაზე და რუსეთთან ურთიერთობაზე, ავტორი არც ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობას (კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა) ტოვებს უყურადღებოდ.

ნაშრომში ასახულია ის რთული ყოფა, რომელშიც აღმოჩნდა იმერეთის სამეფო XVIII საუკუნეში და რომლიდან გამოსვლის ერთადერთ პერსპექტიულ გზად რუსეთთან დაკავშირება ჩანდა. ეს მით უმეტეს საჭირო იყო, რადგან XVIII საუკუნეში საქართველოს გაერთიანებისათვის პირობები არ არსებობდა. ქვეყნის გაერთიანებას კი ნამდვილად შეეძლო სასიკეთო შედეგები მოეტანა. ეს კარგად გამოჩნდა იმ პერიოდებში, როცა იმერეთსა და ამერეთს შორის, სოლომონსა და ერეკლეს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებანი დაიდო. მათი საერთო იდეალი ძლიერი და თავისუფალი საქართველო იყო. მაგრამ რეაქციის ძალები ჯერ კიდევ შეუმუსრავი იყო. ერთიანობის და თავისუფლებისათვის ბრძოლა საბოლოო წარმატებას ვერ აღწევდა.

ამ ფონზე ღირსშესანიშნავ მოვლენად გამოიყურება 1790 წლის აქტი, რომლის აქტიური მონაწილე სოლომონ I-ის საქმის გამგრძელებელი მეფე სოლომონ მეორე იყო. გ. მეტრეველი სწორად იქცევა, როცა ამ საკითხზე აჩერებს მკითხველის ყურადღებას. გამომჟღავნდა, რომ გაერთიანებას მრავალი მომხრე და კეთილმოსურნე ჰყავდა საქართველოში, მაგრამ მათი ძალები არ იყო საკმარისი ერთიანი საქართველოს აღსადგენად. ავტორის მართებული მითითებით, „მეფე-მთავართა კავშირი ეფემერულ ხასიათს ატარებდა“.

მისასალმებელია, რომ ამ ბოლო წლებში იმერეთის ისტორიის შესწავლას მეტი ყურადღება მიექცა და ამ თემაზე უკვე რამდენიმე წიგნიც გამოქვეყნდა. გ. მეტრეველის სარეცენზიო ნაშრომიც ერთ-ერთი ამათგანია. იგი გამოირჩევა ლოგიკური სტრუქტურით, თხრობის ნათელი სტილით.

შ. ხანთაძე,
პროფესორი.

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ენერგეტიკული პოტენციალის შემდგომ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი გახდა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის 110 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგობლოკის საექსპლოატაციოდ გადაცემა. მიღწეული წარმატება მშენებლობის ყველა მონაწილის, გულმოდგინების, შრომისმოყვარეობისა და ინიციატივის შედეგია, რომლებმაც ფართოდ გამაღეს სოციალისტური შეჯიბრება გადადებული ვალდებულებების რეალიზაციისათვის.

მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისა და დიდმნიშვნელოვანი ენერგობლოკის წარმატებით ამოქმედებასთან დაკავშირებით 28 მშენებელთა, მემონტაჟეთა, ექსპლოატაციის მუშაკთა და დამპროექტებელთა ჯგუფს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, მიენიჭათ რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ახალი შრომითი გამარჯვებები და ბედნიერება პირად ცხოვრებაში. (საქინფორმი).

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისაღების გამგე ამხ. ზაურ ხვთისოს ძე **დავითაშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

რ. კასტრო: „ᲩᲕᲔᲜ ᲛᲣᲨᲘᲓᲝᲑᲐ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ...“

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. ჩვენ მშვიდობა გვსურს და მტკიცედ ვიბრძვით მის მოსახელოებლად. ჩვენი გულწრფელი სურვილია აღმშენებლობითი შრომა ხალხის საკეთილდღეოდ, განაცხადა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრმა არმიის გენერალმა რაულ კასტრომ. იგი გამოვიდა კამაგუელის პროვინციაში ახალგაზრდული შრომითი არმიის შექმნის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ მასობრივ მიტინგზე.

იმპერიალიზმის მილიტარისტული პოლიტიკის გამო, თქვა კუბის ხელმძღვანელმა, საერთაშორისო ვითარება ბოლო ხანს მკვეთრად გამწვავდა. საფრთხე შეექმნა მშვიდობას მთელ მსოფლიოში. ისევე როგორც მთელ პროგრესულ კაცობრიობას, კუბას დიდად აწუხებს შეერთებული შტატების აგრესიული ინტერვენციონისტული კურსი, მისი უპასუხისმგებლო და ცინიკური გადწყვეტილება გგზავნოს ცენტრალურ ამერიკაში რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და უკანასკნელ წლებში ყველაზე დიდი სამხედრო-საზღვაო შენაერთი, რომელშიც შედიან ავიამზიდები, სახაზო ხომალდები, ფრეგატები და სხვა გემები. სამხედრო მანევრების საბაბით ამერიკის იმპერიალიზმი ზრდის საშიშ ყოფნას რეგიონში, ემზადება ნიკარაგუის წინააღმდეგ შესაძლო ომისათვის.

კუბელებს ჩინებულად აქვთ შეგნებული, თუ რაოდენ საშიში და რთულია ახლანდელი მომენტი, და მზად არიან დაიცვან რევოლუციის მონაპოვრები.

რ. კასტრომ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფ. კასტროს სახელით გულთბილად მიულოცა დღესასწაული ახალგაზრდულ შრომითს არმიას, მაღალი შეფასება მისცა მის როლს კუბაში სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝᲚᲔᲑᲐ

ᲑᲝᲜᲜᲘ. „დღეს, გასული, ათწლეულების ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, თვალნათლივ ვხედავთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისა და მთელი მსოფლიოს განვითარებისათვის ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული პოლიტიკური და საორგანიზაციო პრინციპების საფუძველზე რუსეთის მარქსისტული ორგანიზაციების გაერთიანებას“, — ხაზგასმულია რსდმპ მეორე ყრილობის 80 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „უნიზერე ციატში“ გამოქვეყნებულ გერმანიის კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილის ჰერმან გოტიეს სტატიაში.

დღევანდელობა, ნათქვამია სტატიაში ძნელი წარმოსადგენია 1903 წლის ზაფხულის ამბების გარეშე, როცა რსდმპ მეორე ყრილობის დელეგატებმა შექმნეს ახალი ტიპის პარტია, რომელსაც უნარი შესწევდა სათავეში ჩასდგომოდა მუშათა კლასს სოციალიზმისათვის ბრძოლაში. 80-იანი წლების მსოფლიოს იერსახეს, აღნიშნავს ჰ. გოტიე, განსაზღვრავს სოციალიზმის შეუნელებელი განვითარება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წარმატებანი, კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის ბრძოლა.

გასაკვირი არ არის, წერს ავტორი, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის კაპიტალისტური სისტემის აპოლოგეტები, სოციალიზმის მტრები ცდილობენ შეაჩერონ ეს განვითარება. მაგრამ მათ სურთ შეაჩერონ ისტორიის კანონზომიერი სვლა „ანტიკომუნისტური ჯვაროსნული ლაშქრობის“ გამოცხადებით. ამ უგუნური იდეის განხორციელებისათვის ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო აპირებენ ფანალაგონ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღი, ხაზგასმით აღნიშნავს ჰ. გოტიე, „დამატებითი შეიარაღების“ გეგმების მიღმა დგას ცდები შეცვალონ მსოფლიოში ძალების თანაფარდობა დასავლეთისა და ნატოს სასარგებლოდ.

რუსი მარქსისტების გამოცდილებას, რომელებმაც 80 წლის წინათ შექმნეს ახალი ტიპის პროლეტარული პარტია, ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობის საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲖᲐᲜᲒᲗᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲗᲘ

„მე მწამს, რომ 100 წლის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტი ზანგი იქნება“, ოცდა ისე დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც ბობი კენედიმ ეს სიტყვები წარმოთქვა. იმ ხანად ზოგიერთმა მიმომხილველმა ასეთი განცხადება საარარეგნო კამპანიაში შაკანიან ამომრჩევლთა ხმებზე „ნადირობად“ მიიჩნია. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად გულწრფელი იყო კენედის მაშინდელი პროგნოზი, მაგრამ დღეს ერთი რამ ცხადია — ამერიკის შაკანიანი ამომრჩეველები ემზადებიან თეთრ სახლში ზანგი პრეზიდენტის დამკვიდრებისათვის. თუ ასომიეიტედ პრესის სააგენტოს ვეხლობით, ამ მხრივ თავის თანამამავეთა შორის ყველაზე საუკეთესო მახსოვნობა მ. ლ. კინგის მგზნებარე თაყვანისმცემელსა და ერთგულ მამდევარს 41 წლის ბაპტისტ მოძღვარს ჯესი ჯექსონს აქვს. თვითონ ჯექსონი პრაქტიკულად უკვე მზად არის საკუთარი კანდიდატურა დასასახელოს. ჯერ-ჯერობით კი ბევრს მოგზაურობს და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის მოუწოდებს ზანგებს. იგი უკვე იყო ნიუ-ჰემპშირის შტატში, სადაც შეხვდა შტატის ხელისუფლების კონტაქტებს — ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გაორმაგების კურსს— მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საკითხებზე.

ამერიკის ისტორიაში წინათაც დაუსახელებია ზანგს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის თანამდებობაზე, მაგრამ არც ერთი მათგანი დღემდე ისე არ „გაკადნიერებულა“, რომ ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ბურჟუაზიული (ამჟერად დემოკრატიული) პარტიის კანდიდატობას „წაპატენებოდა“. სწორედ ამ მოსალოდნელ სიახლეზეა ამჟერად ლაპარაკი.

დიდი პოლიტიკისათვის უცხოა „ბრმა შემთხვევები“ და „ფატალური ბედისწერა“. ყოველივე ეს გაუთვითცნობიერებელი ობიექტივლისათვის არის განკუთვნილი, სინამდვილეში კი, ყველაფერი გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. კანონზომიერად ამერიკელ ზანგთა პოლიტიკური აქტიურობის ზრდაც, რომელმაც, ადრე თუ გვიან თავიანი „მატერიალიზაცია“ უნდა პოვოს. მაგალითად, გასულ თვეში პატარა სენსაციად იქცა ჩიკაგოს (სიდიდით ამერიკის მეორე ქალაქი) მერად ზანგი ვაშინგტონის არჩევა. დღეისათვის ამერიკის 80-მდე ქალაქის, მათ შორის ლოს-ანჟელესის, დეტროიტის, ვაშინგტონის, ახალი ორლეანის, ატლანტის მერი ზანგია. ბევრი ეს თუ ცოტა? ბევრია „ბიძია თომას“ თვალთახედვით, ძალზე ცოტაა თანამედროვეობის თვალსაზრისით. როგორც ოგივე ჯექსონი აცხადებს, სახელმწიფოო თანამდებობათა მხოლოდ ერთი პროცენტი უკავიათ ზანგებს, მაშინ როდესაც ისინი: ქვეყნის მოსახლეობის 12 პროცენტს შეადგენენ (კინგის დროს 10 პროცენტს შეადგენდნენ). „ჩვენ 460 ათასი თანამდებობა წაგვართვეს“ — ჩივის ჯექსონი.

300 წელი, რომელიც აფრიკიდან ჩამოყვანილ მონათა შთამომავლებმა გაატარეს ამერიკაში, საკმარისზე მეტი აღმოჩნდა, რათა ძნელად გადასალახავი კედელი აღმართულიყო ამერიკელ ზანგებსა და „თეთრ“ ამერიკას შორის. ამიტომაც არის, რომ ბევრმა ამერიკელმა ზანგმა არ იცის, ვინ არის, და არც ის იცის, თუ ვისთან ერთად და ვის უნდა ებრძოლოს. მას არ შეუძლია გამუდმებით არ ეკითხებოდეს საკუთარ თავს — ამერიკელია თუ არა იგი? დადებითს პასუხსაც არ მოაქვს მთავარის სიმშვიდე, ვინაიდან მის თვალწინ შაგრენის ტყავივით ქრება მითი იმის შესახებ, რომ თუ „სრულფასოვანი“ ამერიკელი გახდებოდა, მისთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა ყველა სიკეთე ამ ქვეყანაში. ასეთ ვითარებაში მწვავედ დგება საკითხი — ინტეგრაცია თუ სეპარატიზმი? ეს საკითხი იქცა 60-იანი წლების ზანგ ლიდერთა „განხეთქილების ვაშლად“. მაშინ როდესაც კინგი მხურვალედ იცავდა არაძალადატანებითი მოქმედებისა და ამერიკის ყველა ანტიფასისტური ძალების ერთიანი ფრონტის სტრატეგიას, მეორე არანაკლებ პოპულარული ლიდერი „შავი მუსულმანი“ მალკოლმ ლითლი-იქსი, ასეთივე რწმენითა და თავდადებით იბრძოდა სეპარატიზმისათვის. ორივე ლიდერმა სიცოცხლეშივე პოვა ფართო აღიარება და საყოველთაო სიყვარული. ალბათ შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ ამერიკელ ზანგთა მოძრაობის ორივე ლიდერი მოკლეს. ძალმომრეობის მომხრე იქნი 3 წლით და 2 თვით ადრე მოკლეს, ვიდრე ძალმომრეობის მოწონებამდეგე კინგი.

ბევრი რამ შეიცვალა ამერიკაში მას შემდეგ. გარკვეული თვალსაზრისით შეიცვალენ ამერიკელი ზანგებიც. შეიცვალა მათი შეხედულება ქვეყნის რეალობაზე, ბრძოლის ფორმებზე, მეთოდებზე, საბოლოო მიზნებზე. დღეს ზანგთა მოძრაობის ნებისმიერ ლიდერს ოცნებაც კი არ შეუძლია იმაზე, რომ იგი მხოლოდ თავისი კანის ფერით გაინაღდებს თანამოძმეთა ფართო მხარდაჭერას. ზანგები უკვე გაცილებით კრიტიკულად უდგებიან საკუთარ ლიდერებს და ზუსტად სურთ იცოდნენ ბრძოლის რეალური მიზნები.

...1954 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ აკრძალა რასობრივი სეგრეგაცია და მას შემდეგ დაბადებულ ზანგ ახალგაზრდობას ფორმალურად განათლების მიღების პირობები უკეთესი აქვთ. შეიქმნა სიღატაკის რასობრივი წრის გაღვივების კიდევ ერთი ღონეზეა. ნაცვლად იმისა, რომ ახალგაზრდა ზანგთათვის შრომის ბაზარი გაფართოებულიყო, იგი კიდევ უფრო შევიწროვდა. ოფიციალური მონაცემებით, დღეს მეფილი ორჯერ უფრო მეტი უმუშევარი ზანგია, ვიდრე 10 წლის წინათ იყო.

ყოველივე ზემოსენებულის ფონზე, რა მხრივ უნდა განვიხილოთ ზანგთა პოლიტიკური აქტიურობის ზრდა და ამ ფენომენის პოლიტიკური პერსპექტივები? დავიწყოთ იმით, რომ ამერიკელ ზანგთა თვითაც ვერ აცდა დიფერენციისა და ძალთა პოლარიზაციის პროცესს. ვის შეუძლია დღეს სერიოზულად ამტკიცოს, რომ იგივე მალალი სამანკო პროცენტი ერთნაირად აღელვებს ზანგ ბანკირს (ასეთებიც ბლომად არიან დღევანდელ ამერიკაში) და კრედიტის მოიმედე ზანგს? ჯეიმს ბალდუინის მიერ დამკვიდრებული ფრაზა „თეთრკადილაკიანი ზანგი“, ლიტერატურული აფორიზმი კი არა, ცხოვრებისეული რეალობაა. განა თეთრი კადილაკის მფლობელ და სამხრეთ ბრონქსის მკვიდრ ზანგს ბრძოლის ერთი და იგივე მოტივები და მიზნები აქვს? 60-იანი წლების ზანგთა მღელვარებამ ბევრი რამ ასწავლა ამერიკის ნამდვილ პატრიოტებს, მათ, ვინც კანდიდატებს „ქნის“, პრეზიდენტებს „აცხობს“, სენატს „აკომპლექტებს“ და მერების სავარძლებში სვამს ზანგებს. ესეც საკმაოა როგორც მომავალი სარეკლამო აბრა. მაგრამ რომელ ზანგ მერს მისცემენ იმის უფლებას, რომ ოდნავ მაინც შელახოს მის ქალაქში მოქმედი რომელიმე მსხვილი ფირმის ან კორპორაციის ინტერესი? იოტის ოდენადაც არ შეიცვლება კინგისა და იქსის მკვლელთა იდეოლოგია პრინციპულ საკითხებში, დროსა და სივრცეში მხოლოდ მათი ტაქტიკა იცვლება.

ამერიკელ ზანგთა, ისევე როგორც ქვეყნის ყველა უუფლებო მოქალაქეთა პოლიტიკური აქტიურობა კლასობრივი ბრძოლის აუცილებელი წანამძღვარია, ოღონდ ეს ბრძოლა სწორი მიმართულებით უნდა წარიმართოს, ამერიკის მთელ პროლეტარიატთან ერთად.

ს. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს გაორკეცონ მეცადინეობა ამერიკის ადმინისტრაციის აგრესიული მისწრაფებების წინააღმდეგ ბრძოლაში. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს აქ გავრცელებულ განცხადებაში გამოთქმულია ღრმა შეშფოთება იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს ამ თვეში მოაწყოს ფართო მასშტაბის სამხედრო წვრთნა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან აფრიკის რქამდე და სპარსეთის ყურის რაიონამდე გადაჭიმულ ვრცელ ტერიტორიაზე „სწრაფი რეაგირების ძალების“ მონაწილეობით.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეს მანევრები კიდევ უფრო გაართულებს ვითარებას, რეგიონში, რომელიც ისედაც მუდმივი დაძაბულობის კერაა. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აძლიერებს იქ სამხედრო დაძაბულობას. ლიბიის გარშემო, საფრანგეთთან ერთად ახორციელებს სამხედრო ჩარევას ჩადში, ისრაელთან ერთად მუდმივ ზეგავლენას ახდენს სირიაზე და არაბეთის სხვა ქვეყნებზე.

მანევრები ითვალისწინებს სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების ისეთ განლაგებას, რომ მათი გამოყენება სწრაფად შეიძლებოდეს ნამდვილი საომარი ოპერაციების წარმოებისათვის, ნათქვამია განცხადებაში. ის ფაქტი, რომ ძალები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მანევრებში, აღჭურვილი არიან ბირთვული იარაღით, შესაძლებელს ხდის ბირთვული კონფლიქტის გაჩენას. ამგვარად, აღნიშნავს მშვიდობის მსოფლიო საბჭო, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მოქმედება საშინელ საფრთხეს უქმნის ამ რეგიონისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა ხალხებს გაშალონ მსოფლიოს ამ რაიონში უცხოური სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის ბრძოლის ფართო კამპანია. რეგიონის პრობლემა შეიძლება და კიდეც უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით და უწინარეს ყოვლისა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში.

„ᲓᲐᲒᲕᲘᲑᲠᲣᲜᲔᲗ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ!“

ᲐᲗᲘ ათასამდე კაცი გამოვიდა თელ-ავივის ქუჩებში, რათა მთავრობისაგან მოეთხოვათ ლიბანიდან ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანა. „დაგვიბრუნეთ შვილები!“ — გაიძახოდნენ ამ მანიფესტაციის მონაწილენი, რომლითაც დამთავრდა ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში გამართული ერთკვირიანი საპროტესტო მარში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: საპროტესტო მანიფესტაციის მონაწილენი.

ᲘᲣᲠᲘ-ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲙᲐᲛᲞᲣᲩᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲜᲙᲝᲠᲐᲯᲔᲜᲘ. ტაილანდის ხელისუფალთა ცდები თვითნებურად შეცვალონ სახალხო კამპუჩიის მთელი რიგი სახაზღვრო რაიონების დასახელებანი ტაილანდური დასახელებებით, აგრეთვე ამ უბნებზე დაყენებული სახაზღვრო ნიშნების კამპუჩიის ტერიტორიის სიღრმეში გადატანის მომზადება საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევის აქტებია, ნათქვამია კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტოს განცხადებაში.

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარი აქტები „კამპუჩიელ ლტოლვილთა“ სახით ტაილანდიდან კამპუჩიაში ქხმერის რეაქციული ელემენტების გადასახლების გეგმებთან ერთად ზრდიან დაძაბულობას ორი ქვეყნის საზღვარზე.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საზღვრის საკითხები უნდა წყდებოდეს ორი დაინტერესებული ქვეყნის მოლაპარაკების საფუძველზე. თუ ტაილანდი არ შეწყვეტს მოქმედებას, რომელიც არღვევს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მას დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ამ მოქმედების შედეგებისათვის.

ᲝᲠᲐᲜ-ᲔᲠᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

ᲜᲘᲙᲝᲡᲘᲐ. ირანის პრეზიდენტმა ალი ხამენეიმ განაცხადა, რომ ერაყის ჭურჭოსტანში შეტევის შემდეგ ირანის ჯარებმა ხელთ იგდეს ირან-ერაყის საზღვრის დასავლეთით 18 კილომეტრზე მდებარე კარდამანდის მაღლობი. ამრიგად, თქვა მან, ირანელებმა კონტროლი დაუწესეს დასახლებული პუნქტის ჰაჯ-ომრანის ირგვლივ მდებარე რაიონს — მიმდინარე წლის 22 ივლისს დაწყებული შეტევის მთავარ მიზანს.

ᲑᲐᲒᲓᲐᲓᲘ. ერაყის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გადმოცემული ერაყის სამხედრო წარმომადგენლის განცხადების თანახმად, ირანის ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად ხელთ იგდეს კარდამანდის მაღლობი. მაგრამ ერაყელებს კვლავ უკავიათ მთის ფერდობები და მეზობლად მდებარე მაღლობები, ნათქვამია განცხადებაში.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲞᲘᲠᲙᲚᲔᲓ

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲙᲘᲡᲘᲡ ᲚᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. როგორც პოლონეთის პრესა იუწყება გდანსკის ნავსაგრ ნავსადგურის დოკერების ბრიგადებმა 107 პროცენტით შეასრულეს ივლისის დავალებანი. სულ გასულ თვეში მათ დაამშვავეს 1,6 მილიონ ტონაზე მეტი სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. ეს ტვირთის გადაზიდვის ტექნოლოგიის სრულყოფის, ბეური შრომითი პროცესის მექანიზაციის შედეგია.

ᲝᲡᲚᲝ. ნორვეგიელთა მახლობრივი მოძრაობა „ვგმობთ ბირთვულ იარაღს“ ილაშქრებს ყოველგვარი „შუალედური“ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებას. ეს განაცხადა გაზეთ „ნიუტიდში“ მოძრაობის ინფორმაციის საკითხთა მდივანმა მ. ბარტმა. ასეთი რაკეტების განლაგება, თქვა მან, გაართულებს ვითარებას კონტინენტზე. მ. ბარტმა აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვული შეიარაღების გათვალისწინება ევროპაში ბირთვული ძალების თანაფარდობის შეფასებისას.

ᲚᲘᲣᲜᲓᲐ. ალბანო მაშადოს სახელობის პარტიულ სკოლაში — მპლა-შრომის პარტიის ერთ-ერთ წამყვან სასწავლებელში გაიმართა საიუბილეო მეათე გამოშვება. ორმოცე პარტიულ აქტივისტს გადასცეს სწავლის დამთავრების დიპლომები.

სკოლაში ემზადებიან ანგოლის სამხრეთი პროვინციების — უამბოს, ბიეს, უკანდო კუბანგოს წარმოგზავნილები. ათი თვის მანძილზე ისინი სწავლობენ მარქსისტულ - ლენინურ თეორიას, პარტიული მშენებლობის საკითხებს, ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ახალი საზოგადოების აშენებისათვის ანგოლელი ხალხის ბრძოლის ისტორიას.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲡᲐᲐᲠᲑᲐᲠᲘᲣᲙᲔᲜᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲒᲑᲘᲗ

„ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲘᲫᲔᲑᲘᲗ!“

ᲩᲛᲘᲡ წინაშეა პატარა, გემოვნებით გაფორმებული ბროშურა, რომელზეც რუსულად და გერმანულად წარწერილია: „ახალგაზრდული ჯგუფების გაცვლა. თბილისი-საარბრიუკენი. 1983“. ეს გახლავთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა ამასწინანდელი მოგზაურობის პროგრამა. პროგრამის ზემო ნაწილში აღბეჭდილია საქართველოს სსრ გერბი და ე. ამაშუკელის ცნობილი სკულპტურა, ქართველის დედა, რომელიც თბილისის სიმბოლოდ იქცა. ცოტა ქვემოთ საარის გერბი და საარბრიუკენის რატუშაა.

მაინის ფრანკფურტის აეროპორტშივე შევიტყვეთ, რომ საარბრიუკენში ჩასვლისთანავე მოგველის შეხვედრა მის ობერ-ბურგომისტრთან ოსკარ ლ



ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ფოლკლორისტი, ხშირად ვმუშაობ ხანგრძლივ ექსპედიციებში სოფლად, ვკრებ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, ვაკვირდები მშრომელი კაცის მჩქეფარე ცხოვრებას, ვეცნობი მის საზრუნავს და საფიქრალს.

შარშან „ხელოვნებამ“ გამომიქეყნა მონოგრაფია „ხალხური დრამის საკითხები“, ჟურნალ „დოშკოლნოე ვოსპიტანიეში“ დამიბეჭდეს საბავშვო ლექსების ციკლი, რომელიც ვიქტორ ვიქტოროვმა თარგმნა. „საბჭოთა საქართველოში“ უკვე აიწყო ჩემი მოთხრობების წიგნი „იმედის მთვარე“, „ნაკადული“ დასტამბავს საბავშვო ლექსების კრებულს „ვის მოჰყავს გაზაფხული?“, ვამზადებ ახალი ლექსების კრებულს, რომელსაც „მერანი“ გამოსცემს.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲕᲘᲮᲕᲓᲔᲑᲘ

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲫᲔ

ᲥᲘᲜᲒᲐᲚᲘᲡ გათხრებისას აღმოჩნდა საფლავის ქვა წარწერით: „ჩემს მშობლებს თვრამეტი ქალ-ვაჟი ვყავდით, მე ცხრამეტ შვილს ვტოვებ, თქვენ?“

ᲐᲡᲘᲜᲔᲗᲘ ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

დავცქერ წარწერას, —
ძარღვებივით დახლართულ ხაზებს,
დრომ და ავდარმა ვერ წაშალა,
თუმც დიდხანს შალა;
მე რომ შემეძლოს, ამ მძიმე ლოდს გავიდებ მხარზე
და ვიკლი ასე ქუჩა-ქუჩა და შარა-შარა.
ჭიშკარს შევუღებ ჯერ ბერბიჭებს და შინაბერებს,
ყოყმან-ყოყმანში რომ გალიეს წლები, რა წლები!
რაა დედობა არ იციან, რაა მამობა,
აკვანი ხიზვრად ელანდებათ მზეში ნარწევი.
მერმე ოჯახებს ვინახულებ ერთშვილიანებს,
ვინც ეროს დახჯერდა,
ულმობელად სხვები გასწირა
ძარში ჩაბრილი ბევრი ნერგი ვერ იშრიალებს
ერის სალხენად, ერის ნიჭად, ერის ნაწილად.
შენ სულ სხვა იყავ, დიდო დედავ, დიდო ახინეთ
ქალი სულმტკიცე, სულმაღალი, ქალი სულდიდი,
თვრამეტ და-ძმაში თვრამეტი მზის შუქით აივსე,
ცხრამეტი შვილი გარს გეხვია მტრედის გუნდივით.
იყავ ამაყი, იყავ სათნო, იყავ თამამი,
დიდ ოჯახს გულის ყველა ძარღვით გადაჯაჭვული;
მამულს მალამოდ ედებოდი შენი ნაგრამით,
შენი ნანინით, შენი აკვნით, აჭალ-ბუჭულით.
როცა ურჯულო გვიპირებდა მოთხრას მთლიანად,
ფოცხვერთა გუნდში შენთა შვილთა რაზმიც ერია,
ვერ მოგვერია ამიტომაც გადამთიელი,
გადარჩა ერი, ყველა ჭირი მოიგერია.
შენი შვილებით შუქს მატებდი ხამშობლოს დიდ მზეს,
ცას გვიმაღლებდი ლაჟვარდოვან კაბადონიანს,
ვისაც შევხვდები,
ვისაც ვნახავ არაგვისპირზე,
შენი მოდგმა და ნაშიერი ყველა მგონია.
...დავცქერ წარწერას, —
ძარღვებივით დახლართულ ხაზებს,
დრომ და ავდარმა ვერ წაშალა,
თუმც დიდხანს შალა,
მე რომ შემეძლოს, ამ მძიმე ლოდს გავიდებ მხარზე
და ვიკლი ასე ქუჩა-ქუჩა და შარა-შარა.

ᲕᲘᲜ ᲕᲠᲩᲔᲑᲘᲗ?

ყველანი მივდივართ, არ უნდა ლაპარაკი,
ზოგს სახლი დაგვრჩება, ზოგს სახლთან —
აგარაკიც.
ზოგს აჭალ-ბუჭულები — ნაგრამის ფრიამული,
ზოგს ლექსი... ლექსებში ნაღველი მიმალული.
ზოგს სახელ-დიდება — უმკნობი გაზაფხული,
ზოგს ფული და ოქრო, სინდისთან დამარხული.
ზოგს აწმყო ნაწყევლი და ნამყოც ნაძრახი,
ზოგს მხოლოდ საფლავი, საფლავზე ბალახი.
დაგვრჩება სამშობლო ცის ოქროს თავანით,
სამშობლოს ვინ ვრჩებით, ეს არის მთავარი!..

ᲓᲣᲮᲔᲚ

რამ დამახიზმრა!..
ბებიას ერთი
მეგობის კვერილი ჰქონდა იმედად.
შვილიშვილები ვეკროდით მკერდით
და ლუკმა-ლუკმა გვინაწილებდა.
თითქოს შავ დღეთა ალდგა გრიგალი,
ბნელმა ბურუსმა გული შემიძრა;
ძმებო, წუხელის ომში ვიყავი
და ომგადახდილს გამომეღვიძა..

ᲜᲣ ᲒᲔᲒᲛᲝᲜᲔᲑᲐ

ქალაქებია, სოფლებია, აულებია...
გუნდი და გუნდი ჩიტუნების რა ულევია!...
ამდენ ჩიტებში თუკი შენიც არ ურევია,
შენთვის ბუნებას და განგებას აურევია.

აურევია, აგრევია ჭკუა-გონება,
წინაპრის სიტყვა დაგვიწყნია და შეგონება.
ნახატს, მოთხრობას, ფილმს, ფორმულას,
გამოგონებას...
ერს შვილთა ნაცვლად მივუძღვნიო, ნუ
გეგონება.
ბავშვი მამულის სიმდიდრეა, მისი ღონეა,
მასთან ყველა და ყველაფერი მონაგონია.

ᲜᲔᲢᲐᲕ

ძმაო, შენც უკვე გაბაბუავდი,
კიდეც დაგეტყო გაბაბუება, —
ვით ლეკვებიან ძუ მგელს ბუნაგი,
მუდამ შინისკენ გიწევს გუნება.
დაგწვავს და მერმე აგანთებს ისევ,
ეს რა სცოდნია წესად ბუნებას,
გულის ყულაბას ბალღის ხმით ივსებ,
ბალღის ეღურტული გეხალბუნება.
გაქვს შვილიშვილთან ორომტრიალი,
ალერსით თრობა და გაბრუება,
მასთან გიკრავ დარდი ტიალი,
ასე სცოდნია გაბაბუებას.
გაბაბუავდი, მართლაც, რა მალე,
ადრე იბარტყა ჩიტმა ლაბუამ,
გუშინ არ იყო ფეშტამალიდან
რომ გიბერტყავდა ზღაპრებს ბაბუა?
ომს რომ წყევლიდა პაპა სულმნათი,
გუშინ არ იყო?!
არ იყო გუშინ?!
ცრემლით დანამა შვილის ხურათი,
შვილიშვილები ჩაგიკრათ გულში.
გაბაბუება სიცოცხლეს ჰქვია,
გულში აყვავებს ხსოვნებს ვარდებად;
ნეტავ მას, ვინაც ბერდება გვიან
და ნაადრევად ბაბუავდება!..

ᲗᲔᲐᲢᲠ „ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲘᲡ“ ᲐᲚᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ

ᲝᲠᲘ ათეული წლის მანძილზე ცნობილი ამერიკელი მსახიობი, იაგოს როლის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი სემ უონამეიკერი გასაოცარი ენერგიითა და ენთუზიაზმით ცდილობდა განხორციელებინა შექსპირის თეატრ „გლობუსის“ აღდგენის გეგმა, დიდი სიძნელეების დაძლევის შემდეგ მისი ცდა წარმატებით დასრულდა. წელეულს, 12 ივლისს ლონდონში, ტემზის სამხრეთ სანაპიროზე, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც XVI საუკუნეში იდგა „გლობუსი“ და სადაც პირველად დაიდგა „ჰამლეტი“, „მაკბეტი“ და „მეფე ლირი“, საზეიმო ვითარებაში ჩაეყარა საძირკველი ძველი გრავიურებისა და აღწერების მიხედვით აღდგენილი თეატრის მშენებლობას.

„გლობუსი“ ჩაფიქრებულია როგორც მნიშვნელოვანი საერთაშორისო თეატრალური ცენტრი, სადაც დაიდგმება შექსპირისა და მისი თანამედროვეების პიესები, იმუშავებენ ექსპერიმენტული დასები, მოეწყობა გამოფენები, ლექცია-სემინარები და სხვ. ახალ კულტურულ ცენტრს კავშირი ექნება სხვადასხვა ქვეყნის შექსპიროლოგთა საზოგადოებებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან, თეატრებთან.

„გლობუსის“ ასლის მშენებლობის პროექტმა პირველი მსოფლიო აღიარება ჯერ კიდევ 1971 წელს კანადაში, ვანკუვერში, შექსპირის პირველ მსოფლიო კონგრესზე მოიპოვა. ამ კონგრესზე შეიქმნა შექსპირის საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი კომიტეტი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნიკო ყიასაშვილმა. იგი ამ ასოციაციის საპატიო წევრი და მისი აღმასრულებელი კომიტეტის უცვლელი წევრია დღემდე. პროფესორი ნ. ყიასაშვილი, პროექტის აქტიური მხარდაჭერისა და მის განხილვებში მონაწილეობისათვის, ოფიციალურად შეუყვანილია „გლობუსის“ კულტურული ცენტრის დამფუძნებელთა სიაში.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული შექსპირიანას ისტორიაში თეატრ „გლობუსთან“ შემოქმედებითი თანამშრომლობის ფურცლებიც ჩაიწერება.

Ლ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“
ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ
„ᲛᲔᲒᲐᲤᲝᲜᲔᲑᲘ“
Ზ. ᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალების მიხედვით.

ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲐᲦᲘᲡ...



Ი. ᲧᲔᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ნახატი.

ᲤᲠᲘᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ



ᲜᲘᲙᲝ ᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲨᲐᲕᲨᲕᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲠᲯᲕᲗᲘᲡ

ᲔᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ კარგა ხნის წინათ უნდა გვეთარგმნა და, დიდი ტირაჟით არაერთხელ გამოცემული, ფართოდ უნდა გაგვავრცელებინა ხალხში, განსაკუთრებით აჭარასა და, საერთოდ, სამხრეთ საქართველოში.

რატომ?

იმიტომ, რომ სხვა საშუალება არ გაგვაჩნია (ცხადია, ე. თაყაიშვილისა და სხვა მკვლევართა მოგზაურობის, ჩანახატების, აზომვებისა და აღწერების დავიწყება შეუძლებელია), ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენს საზღვრებს მიღმა დარჩენილი იმ პროვინციების ოდითვე ქართულობა, მათი ბუნების თავისებურება, წარსულის გასაცვიფრებელ ძეგლთა სიდიადე;

იმიტომ, რომ ნიკო მარის მოგზაურობა დაწერილია იმგვარი მამულიშვილური გრძნობით, ტკივილითა და სულისკვეთებით, რომ მკითხველს არა მარტო შემეცნებითს სურვილს უკმაყოფილებს, არა მარტო ენციკლოპედიური ცნობებით ამდიდრებს მის მწირ ინფორმაციას სამხრეთ საქართველოზე, არამედ სიამაყის გრძნობით ალავსებს მის მარად მწუხარე გულს — რანი ყოფილან ჩვენი უშუალო წინაპრები და რა ყოფილა ის ედემის ბაღივით აყვავებული, უნიკალური წარწერიანი ძეგლებით მოფენილი ჩვენი სამხრეთი, სადაც ოდესღაც დიდი ქართული კულტურის აკვანი დაირწა.

სწორედ იქაურ კულტურის ძეგლებზე წერდა კორნელი კეკელიძე, რომ მათ „უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მწერლობის ისტორიაში. აქ დუღდა ლიტერატურული შემოქმედება. ასე რომ, უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნიდან, შექმნილია ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართული. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია, ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავის კალაპტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ზის ერთ შტოს, ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით“...

...იმიტომ, რომ ნიკო მარის ეს წიგნი მეცნიერული თავისი არსით, დაწერილია ბელეტრისტული ნიჭიერებით; ყოფაზე, ხასიათებზე, პეიზაჟებზე დაკვირვების იმგვარ მხატვრულ ხერხებს მიმართავს ავტორი, რომ გჯერა— ყმაწვილკაცობაში ნიკო მარი რომ პოეზიით იყო გატაცებული, „საქართველოს გამოხსნა“ რომ ჰქონდა მიზნად დასახული და, სანამ მეცნიერებას მთლიანად მიეცემოდა, პატრიოტული მგზნებარებით აღბეჭდილ ლექსებს რომ წერდა — ამის სრული უფლება ჰქონდა;

იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ, რა ძლიერია ენისა და წარმოშობის მახსოვრობა, როცა „გათურქებული“ მოსახლეობა ზოგჯერ იმ ტბილქართულით მეტყველებს, ასე რომ გვენატრება ხოლმე. და როგორ შენახულა იმ მხარეში სოფლების, მთების, გზების, მდინარეების, ხევებისა და სხვადასხვა ადგილის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და საოჯახო მოწყობილობის ქართული სახელები, რომლებიც ჩვენში ბევრგან მივიწყებულია.

მაგალითად, სოფლები, მთები, გზები, მდინარეები, ხევები, მინდვრები, ბორკვები, ბილიკები, აღმართ-დაღმართები:

იმერხევი, სათლელი, ტბეთი, ოჭრობაგეთი, ველი, აგარა, ხულისა, სათავალა, დაბაწვრილი, წინობა, პატარა ჭალა, ჯორის ფეხი, დაბაკეთილი, ბერი-კლდე, ცოხისძირი, ხაზუდარა, კოჩიბაური, საწილო, გურნათელა, ვანთა, კოკიმაური, ბელეშეთი, დუმათი, შავმთა, უკეთი, ყვირილა, მერე, სამოთხე (მთაა), ნაგუთნი, ნიგოზვაშლი (ტყეა), გვერდა, ოფიხჭალა, მაზმის-ახო, ნახხეთეკი, ღურრულათ-ხევი, ქუსლა, ხაჩინო, გალავანი, ფარახი, ლომთაური, დაბატული, სამაკრეთი, სარკინეთი, სასვენი, წყალთეთრა, დიდაგარა...

ოდა, წინაოდა, ხაწნახელი, მკუარი (კვარი), საფთოკრო (საკსოვი დაზვა), თავანი (ქერი)...

წისქვილის ნაწილები: **დოლაბი, ქუმარი, ჩახჩახი..**

ცეკვები: **ბუქნა, ცალკე სამა— რუსთველის შაირის წყობაზე რომ არის აგებული...**

გვარები:

ხალაძე, ცაცალაძე, ნიკაბაძე, აგათიძე, ზიადაძე, მასკულიძე, ფანჩიძე, თურმანიძე, ლასულიძე, ქადაგიძე, ფუტკარაძე, ბურიძე, თულაძე, ვათამაძე, ჭორკიძე, ფეტვაძე, ფირპიძე, ირემაძე, კობაძე, ლერწამიძე, მორთულიძე, კორდისძე, ყარშუსიძე, აბრამიძე, დარგიძე, ბარბიძე, მოხიძე, ალანიძე, ჯორყაძე, სუბუქიძე, შარაძე, ბუტიძე, საღრიძე, დევიძე, კეფიძე...

იქაური გამონათქვამები:

„მაწონს რომ გააკეთებენ, ჰემ ერბო გამოა, ჰემ წოვაი ან დონთბაი. დოს მოადუღებენ ბეზში (ჩაფში) გადაასხამ. გეიწურვის, შიგან ხქელი დარჩება, ამას ქვია დონთბარი ან დონთბაი“...

„ეს თვე რომ დეილევა, მარიომობაი, ერთხუს სიცივე. მოვა. თხუთმეტი ტკაველი თოვლი მოვა“...

„ბევრ ინადორეხენ, დათვმათვ ბევრ მოკლვენ, ყურდღელ მოკლვენ“...

ᲛᲐᲕᲨᲕᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲠᲯᲕᲗᲘᲡ

ᲓᲦᲘᲡ ᲩᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

VII '83

ᲪᲣᲠᲩᲐᲨᲘ, წყალტუბოში და ცხინოსნობაში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ დასრულდა სსრ კავშირის ხალხთა მერვე საბაჭოთა სპარტაკიადა. ცურვაში საქართველოს ნაკრები 181 ქულით მეათე ადგილზე გამოვიდა (წინა სპარტაკიადაზე მეთერთმეტე ადგილზე ვიყავით), წყალტუბოში — 88 ქულით მეოთხე (წინა სპარტაკიადაზე — მეექვსე), ხოლო ცხინოსნობაში — 131 ქულით მეხუთე ადგილზე ვართ (წინა სპარტაკიადაზე მეშვიდენი ვიყავით).

ქვემოთ გთავაზობთ მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების (მოსკოვი და ლენინგრადი) კომპლექსური ჩათვლის შედეგებს:

მოკავშირე რესპუბლიკები და ქალაქები	მოსწავლეთა XVI სპარტაკიადა	ახალგაზრდობის III საკავშირო ასპარეზობანი	ხალხთა VIII სპარტაკიადა	ქულათა ჯამი	ადგილი ქვეჯგუფში	საერთო ადგილი
I ᲯᲒᲣᲤᲘ						
რსფსრ	2867	6069	11867	20803	I	I
უკრაინა	3001	5298	10148	18447	II	II
მოსკოვი	1975	3928	9772	15675	III	III
ლენინგრადი	1971	3153	6935	12059	IV	IV
ბელორუსია	1735	3457	6545	11737	V	V
II ᲯᲒᲣᲤᲘ						
უზბეკეთი	1579	2490	3844	7913	I	VI
უზბეკეთი	1193	2261	3992	7446	II	VII
ლიტვა	1457	2001	3859	7317	III	VIII
ლატვია	1104	1577	2994	5675	IV	IX
საქართველო	987	1460	2836	5283	V	X
III ᲯᲒᲣᲤᲘ						
სომხეთი	609	1340	2053	4002	I	XI
მოლდავეთი	732	1357	1336	3425	II	XII
აზერბაიჯანი	633	1037	1740	3410	III	XIII
ესტონეთი	924	968	1490	3382	IV	XIV
ყირგიზეთი	535	961	1166	2662	V	XV
ტაჯიკეთი	320	758	935	2013	VI	XVI
თურქმენეთი	266	387	448	1101	VII	XVII

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ ᲡᲐᲖᲘᲛᲝᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲘ

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. აშშ-ის ნაკრებთან ჯადამწყვეტი ფინალური მატჩის წინ სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის უკანასკნელ მატჩში დაამარცხა ასპარეზობის მასპინძელი ბრაზილიის ნაკრები — 99:75 (55:40). სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: პოლონეთი-ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — 83:75, იუგოსლავია-სამხრეთ კორეა — 70:53, აშშ-ბულგარეთი — 99:77.

ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲛᲑᲐᲣᲠᲗᲘ. შვეიცარიაში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის, კარგად იასპარეზეს ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა. უფროსი ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, უმცროსი ასაკის გოგონებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს, მათი თანატოლი ჭაბუკები მეშვიდე ადგილს დასჯერდნენ.

ᲨᲔᲮᲑᲣᲗᲘ. გუშინ დასრულდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეოთხე ტური. გთავაზობთ უკანასკნელი მატჩის შედეგს: „ზენიტი“-„სპარტაკი“ — 0:2.



ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — კონცერტი. 10.10 — დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა კავშირის მეტროპოლიტენი“. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — ჯანმრთელობა. 12.45 — დილის ფოსტა. 13.15 — „მეცნიერება და ტექნიკა“. კინოჟურნალი. 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კოსკი. 15.00 — ფილმ-სპექტაკლი „იდუმალი პიპოპოტამი“. 15.55 — „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. კინოჟურნალი. 16.05 — კონცერტი. 16.30 — დღეს რკინიგზელის დღეა. 17.10 — თქვენი წერილების მიხედვით. 17.55 — ახალი ამბები. 18.00 — მოგზაურთა კლუბი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმები. 20.30 — ინგლისური მხატვრული ფილმი „მილიონი გირვანქა სტერლინგის ბანკნოტი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.05 — ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ა. ბლოკის ლირიკული ლექსების მიხედვით. 23.45 — მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. 00.30 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — რკინიგზელის დღის გამო. 10.10 — კონცერტი. 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.15 — კონცერტი. 11.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 12.10— აშკარა — დაუჯერებელი. 13.10 — ფილმი — ბავშვებს. 14.15 — „მე-9 სტუდია“. 15.15 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება. 15.45 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.15 — კინომაყურებლის თანამგზავრი. 17.00 — ფილმ-კონცერტი. „არფის ხმები“. 17.10 — პირველი სიხარული. მე-6 სერია. 18.30 — რ. ლეონკოვალის ოპერა „ჯამბაზები“. 20.00 — თეატრის აფიშა. 21.00 — „ძილნებისა, პატარებო!“. 21.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ტელეფილმი „მოხუცი მემანქანე“.

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მმიმეწონიანი სიჩქარეს იღებს“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“ — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — „საკვირაო გამოფენა“. 11.50 — „ხალხური შემოქმედება“ — „ეს სიმღერაა საქართველოსი“. 12.50 — „კინოფიშა“. 13.20 — „იავნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის (განმეორებით). 14.35 — სვირიდოვის ვოკალური ციკლი. 15.25 — „საკვირაო გამოფენა“. 15.30— „სსრ კავშირის ხალხთა მერვე საზაფხულო სპარტაკიადა“. 16.05 — „საკვირაო გამოფენა“. 16.10— „ვესტნიკი“. 16.40 — „დღეს — რკინიგზელის დღეა“ (მ.). 17.10— „ოქვენი. თხოვნით“. კონცერტი „ვესტნიკი“. 16.40 — „დღეს 18.05 — „სპორტული კალეიდოსკოპი“ (განმეორებით). 18.55 — „საკვირაო გამოფენა“. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა“. 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „სოფლის სადღეისო საზრუნავი“. 20.35 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის — „მეც თბილისელი ვარ“. 21.55 — საკვირაო გამოფენა“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ქართული სატელევიზიო ფილმი „მოხუცი მემანქანე“ (მ.). 23.40 — „საფეხბურთო მიმოხილვა“ (ვიდეოჩანაწერი).

რედაქტორი
Ზ. ᲒᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ...“

(ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ)



30 მაისი. დღეს წყალი მოვიდა... სამაგიეროდ სინათლის საქმე არის ცუდად, გაყვანილობის შემკეთებელი უნდა მოსულიყო, იცის, უპატივცემულოდ არ დატოვებ, მაინც არ მოვიდა.

1 ივნისი. ჩამოცხა, ბურახის გამყიდველს ხურება მოვთხოვე:

— არ გწყურია, ბიძიკო, შენ, თორემ ამ გაგანია სიცხეში კაპიკებს არ გამოეკიდებოდი!

მეწყინა, მაგრამ არ ვუპასუხე!

4 ივნისი. ტელეფონი ჩართეს, სამაგიეროდ ცხელი წყალი გამორთეს!

5 ივნისი. ძველი თანამშრომელი შემხვდა, ჩემს ეზოში რკინეულობის მაღაზიაა, აგვიკლეს მცხოვრებლები. რა არ ხდება, კერძო სავაჭრო გეგონება, არც ჩხუბი გვაკლია და არც აყალმაყალი. შეურაცხყოფას გვაყენებენ, აბუჩად გვიგდებენ, რედაქციაში უნდა უჩივლოთო.

— სცადეთ, თუ რამე გამოგვიათ-მეთქი, დავაწყნარე...

27 ივლისი. სულ დამაკიეს და დამღუპეს, სახურავზე ცხელი წყლის გაყვანილობის მაღი გასკდა და ახლად გარემონტებული ბინა სულ წალეკა, ამის რემონტს გადავუვეი და... რაც მთავარია, ეს უკვე მესამე შემთხვევაა. საავარიო სამსახური მოსვლას არ გვამადლის, მაგრამ ამ უთავბოლო „საკერებლებიანი“ მილებით „შეკეთებული“ გაყვანილობა მეტს არ ძალებს, აგარაკზე ვერ მივდივარ, ან ხელოსნებს ვიღი ან წარილნას.

დავდივარ კარდაკარ განცხადებებით, მაგრამ... ზოგი მილებს აბრალებს, უხარისხოაო, ზოგი — საერთოდ მილების უქონლობას, და ვართ ასე ვულკანზე — კაცი არ არის გამკითხავი. ოთხი „დაკერებული“ მილი მოიტანეს ეზოში, მეზობლებმა ხმა გაიღეს, ამით რა გაკეთდება, მსხარად ხომ არ გვიგდებთო. ამაზე ორნაირი რეაქცია ქქონდათ „შემკეთებლებს“. ზოგი სიცილით დაიხოცა, ზოგი მოლიციით დაგვემუქრა.. არავითარი იმედი...

1 აგვისტო. აივსო მოთმინების ფიალა, თასი, ყანწი, ჭური და საერთოდ, თუ კი რამ საწყაო არსებობს, ყველაფერი აივსო... დღეს რალაც გულის ტკივილს ვგრძნობ, წინათ ინფარქტი, ავადმყოფობაც და სახელწოდებაც, მაღალი საზოგადოების ხვედრი იყო, ახლა ისე გახშირდა, ყველას ემარცება, წინათ „გული გაუსკდაო“, იტყოდნენ ასეთ ავადმყოფზე. მაგრამ ასე ყოველ წუთსა და ყოველ ნაბიჯზე კი არა, ათასში ერთხელ... ახლა ყველა გულგახეთქილია ინფარქტის შიშით, ნეტავ ვალიდოლი თუა სახლში?..

აქ წყდება ჩანაწერი. გარდაცვალების დღეს სასწრაფოს არ დაუგვიანია. ყველაფერი ისე იყო, როგორც კინოში. ახალგაზრდა ექიმმა, ხანში შესული ექთანი და უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობი ცნობის გულისათვის სანიტარად მოწყობილი ტლუ ბიჭი.

ექიმმა ჯერ ყველაფერი გამოიკითხა:

— რას უჩიოდა ავადმყოფი?

— არ იყო ბატონო ავადმყოფი!

— გულს?

— არა!

— თირკმელებს?

— არა!

— ფილტვებს არა?

— ჰაერის უკმარისობა ხომ არ ჰქონდა?

— არც თვალს აკლდა, არც ტუჩს, არც წნევა აწუხებდა, არც დიაბეტი... არც კუჭს უჩიოდა?

— სიკვდილის წინ დღიურს წერდა, ექიმო. აი, მელანშეუშმრალი დღიური!

ექიმმა დიდხანს გულდასმით იკითხა ბატონი ვარდენის დღიური და შემდეგ უზარმაზარ ანკეტაში, რომელიც დიდი მონდომებით შეავსო, გრაფაში — „სიკვდილის მიზეზი“ ჩაწერა: ათასი წვრილმანი!

ᲠᲔᲖᲝ ᲯᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲔᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲝᲛ. ᲣᲬᲔᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434 უე 07699 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲨᲙ.ᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲞᲐᲞᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14. ᲘᲜᲓᲘᲥᲡᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲡᲝᲤᲝᲛᲝᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 29.